ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

ირმა ჭკადუა: „მე მჯერა მიხეილ თათარიშვილის, რომელიც ამბობს, რომ ნარკოტიკები ჩაუდეს“



გვ.7

9 ივნისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

სამშაბათი, 13 ივნისი, 2017 №138 (7373) ფასი: 50 თეთრი

გია ხუხაშვილი: „კვირიკაშვილის და მლებრიშვილის გადადგომას აზრი არ აქვს“



გვ.2

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ერთი კარგი რამეც აჩვენა. როგორც კი ქუჩაში ბევრი ხალხი გამოვიდა, ხელისუფლება დაფრთხა. მართალია. უხარისხო, მაგრამ რეაქცია მაინც ჰქონდა.

თამარ კორძაია: „ნარკოპოლიტიკის გადახედვაზე პარლამენტში ერთსულოვნება არ არის“

გვ.2

„მთავრობა ჯარს რუსეთის დავალებით ანგრევს“

გვ.3

გაერთიანებული შტაბის უფროსი გამოძიებას ითხოვს

დავით ნემსაძე: „ოსორაულის დაღუპვის შესახებ ცნობა სიცრუეა“

გვ.3

გვ.4

„მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ამხილა“

მამუკა ტუსკაძე: „ამ დეპარტამენტს სტრასბურში ვუჩივლებთ“

გვ.5

მანუჩარ მაჩაიძე: „დედაქალაქის მერი სამეურნეო საკითხებში უნდა ერკვეოდეს“

„ტრანსპორტის სფეროში კატასტროფული მდგომარეობა სულაც არ არის“

ISSN 1987-9385

„2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურა დღეისთვის სრულად აღდგენილია“

გვ.6

გია ხუხაშვილი: „კვირიკაშვილის და მღებრიშვილის გადადგომას აზრი არ აქვს“

შორენა მარსაგიშვილი

იმართება თუ არა ქვეყანა ბერა ივანიშვილის სტატუსებით, რატომ არა აქვს აზრი კვირიკაშვილის და მღებრიშვილის გადადგომას, რატომ არ უნდა გაჩერდეს საზოგადოება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი **გია ხუხაშვილი** ესაუბრება.

– ოპოზიცია გამუდმებით ბიძინა ივანიშვილის არაფორმალურ მმართველობაზე საუბრობდა. ბერა ივანიშვილის ცნობილი ფეისბუქსტატუსის შემდეგ კი ამბობენ, რომ ქვეყანა არა ბიძინას, არამედ ბიძინიჩის ხელით იმართება. ამასთან დაკავშირებით თქვენ რას იტყვით? ფაქტია, რომ ამ სტატუსის შემდეგ სასამართლომ, პროკურატურამ და შსს-მ პოზიციები შეცვალეს.

– ახლა პერსონალიებზე საუბარი არ მინდა, მაგრამ როდესაც ქვეყანაში არის ჰიბრიდული მმართველობა, ეს არის ძალიან დიდი პრობლემა. გარკვეული ინტერესჯგუფები საქართველოში ყოველთვის ერეოდნენ პოლიტიკაში, მაგრამ ეს მეტ-ნაკლები დოზით ხდებოდა. ფარცხალაძის ინციდენტი ამის ნათელი მაგალითია. ჩვენ ვნახეთ, რომ არსებობენ ვიღაც ადამიანები ყოველგვარი სტატუსის გარეშე, ისინი წარმოადგენენ ინტერესჯგუფებს, რომელთაც ფორმალურ ხელისუფლებაზე დომინირების პრეტენზია აქვთ.

– თქვენ ამაზე ადრეც საუბრობდით, მაგრამ ამბობდით, რომ ჯერ საგანგაშო ზღვრამდე არ მივსულვართ, რომლის იქითაც რევოლუციური პროცესები გარდაუვალია. ახლაც იგივეს ფიქრობთ?

– იმ ზღვრისთვის ჯერ არ გადაგვიბიჯეია, მაგრამ ძალიან ახლოს მივედით ამ ზღვართან. ეს პრობლემა არის ძალიან ფართო და სერიოზული. საზოგადოება ხელისუფლებაზე ინტერესჯგუფების დომინირებას თუ დაუშვებს, ამის შემდეგ შეგვიძლია დავსვათ დიაგნოზი, რომ სახელმწიფოში არ ვცხოვრობთ და საქართველო არის ტერიტორია, რომელიც დგას არქაულ, ბატონყმურ ურთიერთობაზე. ჯერ აქამდე არ მივსულვართ.

დავუბრუნდები ისევ ამ დღეებში განვითარებულ მოვლენებს. შედეგი, რაც ბერას სტატუსს მოჰყვა – დაკავებული მომღერლების გათავისუფლება არანაკლებ მძიმე საყურებელი იყო, ვიდრე მათი დაკავება.

– მათი გათავისუფლება რატომ იყო მძიმე საყურებელი?

– იმიტომ, რომ ამ გათავისუფლებით კითხვები კი არ მოიხსნა, კიდევ უფრო მეტი გაჩნდა. ესაა მძიმე საყურებელი, თორემ იმ უდანაშაულო ბიჭების გათავისუფლება ყველას გვიხარია.

12 ივნისს სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მოხდა არსებული ვითარების გაშიშვლება. ნათლად გამოჩნდა ჰიბრიდული მმართველობა, ძალოვანი სტრუქტურების ანგაჟირებულობა, რაც სუბიექტური ფაქტორებით არის განპირობებული. ასევე გამოჩნდა, რომ ჩადებების თემა არის ძალიან აქტუალური.

პრემიერის განცხადება ამ ყველაფერზე იყო არაადეკვატური. იმის მაგივრად, რომ საღად შეეფასებინა ვითარება, ნარკოპოლიტიკაზე დაიწყო საუბარი. იმისთვის, რომ ვიღაცისთვის ესიამოვნებინა, არაადეკვატური განცხადება გააკეთა.

– ვიღაცა ამ შემთხვევაში ბერაა?

– რა მნიშვნელობა აქვს, ვინაა. მთავარი კვირიკაშვილის არაადეკვატური განცხადებაა.

– თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბოლო დროს ის არაფერზე რეაგირებს, ეს განცხადება მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

– მე მიღწევად ვერ ჩავთვლი, რადგან მან განცხადება მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა, რაც არაფორმალურად მწვანე აინთო. ერთია, როცა არაფორმალურ გზავნილზე ადეკვატურად რეაგირებ და მეორეა, როცა არაადეკვატურად იქცევი. ამ არაადეკვატურობის მაგალითი იყო პრემიერი.

ის იმასაც კი ვერ მიხვდა, რომ მთავარი პრობლემა არა ნარკოპოლიტიკა, არამედ ჩადებაა. ეს ორი სხვადასხვა პრობლემაა. ჩადება ბევრად უფრო მძიმე და სისტემური დანაშაულია, ვიდრე ამა თუ იმ ტიპის ნარკოპოლიტიკა.

მაინტერესებს, ჩადებას რას უშვრებიან? რაც უნდა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია მოხდეს, მძიმე ნარკოტიკები მაინც აკრძალული იქნება და მათ ჩაუდებენ.

სამწუხაროდ, ამ მოვლენების დროს დავინახე ჩვენი საზოგადოების პრობლემაც, რომელიც ზოგადად კონფორმისტულად არის განწყობილი და ნახევრად გადაწყვეტის საშუალება თუ მიეცი, უბრუნდება კონფორმისტულ მდგომარეობას. ადამიანებს უნდათ თავი გაიმართლონ იმის გამო, რომ ამა თუ იმ უსამართლობაზე პროტესტის გრძნობა არ უჩნდებათ. როგორც კი პრემიერისგან ნარკოპოლიტიკა მოისმინეს, ხვრელი ნახეს და მიიძინეს.

საზოგადოების კონფორმიზმი ძალიან კარგ საშუალებას აძლევს პოლიტიკოსებს, რომ მათით მანიპულირება მოახდინონ. არადა, ქართული გაგებით, კონფორმიზმი ტეხავს.

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ერთი კარგი რამეც აჩვენა. როგორც კი ქუჩაში ბევრი ხალხი გამოვიდა, ხელისუფლება დაფრთხა. მართალია. უხარისხო, მაგრამ რეაქცია მაინც ჰქონდა.

– ხელისუფლებამ პოზიციები მარტო ბერას განცხადების გამო არ შეცვალა?

– მე ვერ ვიტყოდი, რომ მხოლოდ ბერას არაფორმალური გზავნილის გამო მოხდა ეს ყველაფერი. ხელისუფლება ხალხის პროტესტმა დააფრთხო. ისინი იძულებული გახდნენ, რაღაც რეაგირება მოეხდინათ. ბერას განცხადება წაეხმარათ იმაში, რომ რაღაც ნახევრად გამოსავალი ეპოვათ.

10 ივნისს სამოქალაქო სექტორმა ძალიან სერიოზული გამარჯვება მოიპოვა. აქციაში ძალიან კარგი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ახლა ისინი გამარჯვებით ტკბობას არ უნდა მიეცნენ. მათ ბრძოლა უნდა გააგრძელონ და ხელისუფლება მუდმივი პრესინგის ქვეშ ჰყავდეთ.

საჭიროა აქტიური პრესინგი, რათა ხელისუფლებამ ამ ნახევრად გადაწყვეტილებით არ შეძლოს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება. ხალხს მხოლოდ 2 რაღაც უნდა ხელისუფლებისგან – კეთილდღეობა და თავისუფლება.

– ყველა აღიარებს, რომ ადგილი ჰქონდა ნარკოტიკების ჩადებას. არის ვარაუდი, რომ ამას გიორგი მღებრიშვილის თანამდებობა შეეწირება. თქვენი აზრით. გაწირავენ შს მინისტრს?

– ამ სიტუაციაში მღებრიშვილის წასვლა და დარჩენა საერთოდ არ არის საინტერესო. აქედან გამომდინარე, არანაირი აზრი არ ექნება მის გადადგომას.

– რატომ არ ექნება აზრი?

– იმიტომ, რომ დღეს გიორგი მღებრიშვილი, რომელსაც ფორმალურად შს მინისტრის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

თამარ კორძაია: „ნარკოპოლიტიკის გადახედვაზე პარლამენტში ერთსულოვნება არ არის“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის წევრი, ყოფილი დეპუტატი თამარ კორძაია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რეპერების საქმესა და ნარკოპოლიტიკის შეცვლაზე საუბრობს.

– ქალბატონო თამარ, რეპერების დაკავებამ და შემდეგ გამოშვებამ მთელი პროცესი ერთგვარად ამხილა. პრემიერმა პარლამენტს ნარკოპოლიტიკის გადახედვისკენ მოუწოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგივე ბრალდებით დაკავებულებიც, რომლებიც ასევე აპროტესტებენ, რომ მათაც ჩაუდეს, განთავისუფლდებიან?

– სავსებით ლოგიკური შეკითხვაა, თუ ვაღიარებთ, რომ ქვეყანაში უნდა შეიცვალოს ნარკოპოლიტიკა, მაშინ ყველა იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომლის მიმართაც მოქმედი ნარკოპოლიტიკა იყო გამოყენებული, უნდა გამოვიყენოთ ჰუმანური მიდგომა.

– კონკრეტულად?

– ყველას უნდა შეეხოს ამნისტია, გარდა გამსაღებლებისა. ჩვენ არ ვთვლით, რომ მათი სრული ამნისტია უნდა მოხდეს, სასჯელის მესამედით შემსუბუქება შესაძლებელია.

რესპუბლიკური პარტია ყოველთვის მომხრე იყო ჰუმანური ნარკოპოლიტიკის შემუშავების. ჩვენ წარვადგინეთ კანონპროექტი ნარკოპოლიტიკის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ამ მუსიკოსების დაკავებამდე გავაჟღერეთ.

– ნარკოპოლიტიკის გადახედვასთან დაკავშირებით საინტერესოა მაღალჩინოსნების განცხადებების ქრონოლოგია. თქვენ რას უკავშირებთ პრემიერ კვირიკაშვილის და შემდეგ ვიცე-პრემიერ კალაძის განცხადებას?

– მათი განცხადებები იყო რეაგირება იმაზე, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდა. ძალიან დიდი ხანია, რომ სამოქალაქო აქტივიზმი, სამოქალაქო მოძრაობა ახალ ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით მუდმივად ითხოვს ხელისუფლების ყურადღებას და არსებული ნარკოპოლიტიკის შეცვლას, მაგრამ ეს აქამდე არ ხდებოდა. პარლამენტში არავის გაუხმოვანებია ერთი მხარდამჭერი განცხადებაც კი ნარკოპოლიტიკის გადახედვასთან დაკავშირებით.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ საკითხზე პარლამენტში ერთსულოვნება არ იქნება. პარლამენტში არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები დამნაშავეები არიან, ეს ადამიანები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში არიან, როდესაც 21-ე საუკუნეა და მსოფლიომ აღიარა, რომ ეს არის დაავადება. ასევე მსოფლიომ აღიარა, რომ ყველა ის ქვეყანა დამარცხდა, რომლის ნარკოპოლიტიკაც აგრესიული იყო, აგრესიულმა ნარკოპოლიტიკის წარმოებამ ვერსად შედეგი ვერ გამოიღო. აქედან გამომდინარე, როდესაც ამაზე ვსაუბრობთ, რომ მოხდეს აგრესიული მიდგომის ჰუმანური მიდგომით შეცვლა, ადამიანები გვეუბნებიან, რომ ეს ნარკომომხმარებლების ზრდას გამოიწვევს.

– ამას გამორიცხავთ?

– სტატისტიკა სრულიად საწინააღმდეგოს აჩვენებს. ეს ასე ნამდვილად არ არის. სამაგიეროდ, ჰუმანური ნარკოპოლიტიკა გამოიწვევს ადამიანებისთვის შესაბამისი სოციალური პირობების შექმნას. ადამიანებისთვის იმის ახსნას, რომ ისინი ღირებულნი არიან, ასევე, იმის ახსნას, რომ თუ მათ პრობლემა აქვთ, ამის აღიარებით მათ დაეხმარება სახელმწიფო და ციხეში არ ჩასვამს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ეს უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოებისთვის მისაღები, ეს ნაბიჯი უნდა გადავდგათ ყველამ ერთად, როგორც სახელმწიფომ, ისე საზოგადოებამ.

სამწუხაროდ, ამ პოზიციას საქართველოს პარლამენტში არ იზიარებენ. იმედი მაქვს, რომ ახლა მაინც მიიღებენ ამ ყველაფერს მხედველობაში და ახალ კანონმდებლობას მიიღებენ.

– რეპერების საქმეზე პოლიციელების გადაცდომის ფაქტს პროკურატურა სწავლობს. ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს? როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– ხელისუფლება არის ჩიხში შესული. რა თქმა უნდა, უნდა დადგეს ყველა დამნაშავე პირის პასუხისმგებლობის საკითხი. გაირკვა, რომ მუსიკოსებს სისხლში არ აღმოაჩნდათ ნარკოტიკი, ეს არის დადასტურებული ფაქტი. ასევე, ერთ-ერთმა თქვა, რომ მისთვის არ აღმოუჩენიათ ნარკოტიკი, ოქმში კი ჩაწერეს, რომ თურმე აღმოუჩინეს. თუ დადასტურდა, რომ მუსიკოსებს ნარკოტიკი ჩაუდეს, ე.ი. რაღაცის გამო ჩაუდეს. ეს „რაღაცა“ კი არის კლიპი, კლიპის აკრძალვა კი ნიშნავს, რომ ხელისუფლება პირდაპირ მიდის გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ.

ახლა ხელისუფლება ჩიხშია, ისევე, როგორც აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეზე არის ჩიხში შესული. არც ამ საქმეზე აქვს ხელისუფლებას არგუმენტები, რადგან აზერბაიჯანის ხელისუფლება ამბობს, რომ ეს ყველაფერი ქართველ სპეცსამსახურებთან შეთანხმებით მოხდა, რასაც საქართველოს ხელისუფლება უარყოფს. აქედან გამომდინარე, ვერც ერთ ამ შემთხვევაზე ხელისუფლება ვერ შექმნის სარწმუნო ფონს, თუ კონკრეტული პირების პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგა.

– ვისი?

– შინაგან საქმეთა მინისტრი, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი და ვიცე-პრემიერი ჯეჯელავა, რომლის განცხადებებიც არანორმალურობით გამოირჩევა, თანამდებობიდან უნდა წავიდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებაში ისინი ვერ შექმნიან განცდას, რომ მათ სურთ ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ჯანსაღ სტრუქტურებსა და ღირსებაზე დგას და არა – ინდივიდებზე, რომლებიც ოფიციალურად მთავრობის წევრები არიან. ეს არის პრობლემა.

– ბერა ივანიშვილზე მიანიშნებთ?

– ჩვენ შეგვიძლია ქრონოლოგიურად, თანმიმდევრობით შევაფასოთ ფაქტები. დაკავეს რეპერები, რასაც მოჰყვა სოციალურ ქსელში ბერა ივანიშვილის მხარდამჭერი პოსტი. ამას კი მოჰყვა მთელი პოლიტიკური სპექტრის განცხადებები. მე, როგორც პოლიტიკოსს, ერთადერთი შეფასების გზა მრჩება, რომ ვთქვა: დღეს ბერა ივანიშვილი არის ერთადერთი გავლენიანი ადამიანი მთავრობაში, არაფორმალური ფიგურა. ამის თქმის საფუძველს იძლევა განცხადებების ის ქრონოლოგია, რისი მოწმეც გახდა მთელი საზოგადოება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მთავრობა ჯარს რუსეთის დავალებით ანგრევს“

გაერთიანებული შტაბის უფროსი გამოძიებას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს შეიარაღებული ძალები კიდევ ერთხელ გახდა სკანდალის მიზეზი. უფროსი ლეიტენანტის ზურაბ ჯიბუტის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო, ოპოზიცია უშიშროების საბჭოს მოწვევას ითხოვს. ჯიბუტი საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებაზე საუბრობს და სამართალდამცავებს მიმართავს.

შეიარაღებული ძალების ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი, ზურაბ ჯიბუტი რუსთავი 2-თან საუბარში აცხადებს, რომ დღეს ქვეყნის ავიაცია, პრაქტიკულად, აღარ არსებობს და არის ტექნიკის ნაკლებობა.

ჯიბუტი ჯარისკაცების კვების რაციონზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ სამხედრო მომსახურეების საკვები საველე პირობებში არის რუსული კონსერვი, ხახვი, ნიორი და პური.

თავდაცვის მინისტრმა სკანდალურ განცხადებაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. უწყების პრესსამსახურის განმარტებით, ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას ლევან იზორია არც მომავალში აპირებს.

– ამ სიუჟეტში იყო ჩვენი წარმომადგენელი და ჩვენი კომენტარიც. შესაბამისად, ჩვენი პასუხიც ცნობილია ამასთან დაკავშირებით და არ ვაპირებთ განცხადების გავრცელებას. რაც გუშინ ითქვა, არ შეესაბამება სიმართლეს, – აცხადებს მედიასთან საუბარში თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ნინო თოლორდავა.

მინისტრისგან განსხვავებით, გაერთიანებული შტაბის უფროსმა სკანდალურ სიუჟეტთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა. გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია ჯიბუტის განცხადებებს მიზანმიმართულ პროვოკაციას უწოდებს და სამართალდამცავ სტრუქტურებს მიმართავს.

– ბატონი დიმიტრი როდესაც ლაპარაკობს მოტივაციაზე ან შეიარაღებული ძალების საჰაერო თავდაცვის სისტემების გამართულობაზე, ეს არის მიუღებელი, შეურაცხყოფილები ვართ ყველა და რატომ, ამას ცალსახად მინდა გავუსვა ხაზი. დღეს საქართველოში არის ჰიბრიდული ძალა, რომელიც ომობს კონკრეტულ შემთხვევაში და ცდილობს დაასუსტოს ის ინსტიტუტი, რომელიც არის ძლიერი და ყველაზე მეტად გამართული საქართველოში, ეს არის თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები. დღეს ჩვენ პრობლემა გვაქვს იმ მსუბუქ ძალასთან მიმართებაში, რომელსაც აწარმოებს რუსეთის ფედერაცია.

ეს არის მიზანმიმართული პროვოკაცია. ჩვენ ვისზე ვსაუბრობთ, ჯარის ერთი წარმომადგენელი, რომელმაც განცხადება დაწერა თავად და უარი თქვა შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე. ეს არის საიდუმლო ინფორმაცია და მე მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს, დაინტერესდნენ იმ ინტერვიუთი, რომელიც ჩამოერთვა ბატონ უფროს ლეიტენანტს და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ, – განაცხადა ჩაჩიბაიამ.

სკანდალური სიუჟეტის გასვლის შემდეგ, ნაციონალურმა მოძრაობამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. პარტიის სახელით აღშფოთება და შეშფოთება ყოფილმა დეპუტატმა გია ბარამიძემ გამოხატა.

მისი თქმით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა სასწრაფოდ უნდა მოიწვიოს უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომა.

ყოფილი დეპუტატის განცხადებით, რომელიც რამდენიმე თვის მანძილზე თავდაცვის მინისტრიც იყო, ხელისუფლების მიერ ხდება ჯარის მეთოდური განადგურება.

– ჩვენი მოვალეობაა, ჯარის მეთოდური განადგურების და დეგრადაციის შესახებ საქართველოს უმაღლეს მთავარსარდალს, პრეზიდენტს ვაცნობოთ. ტელევიზიით თავდაცვის სამინისტროსა და მთავრობის მესვეურები რეალურ მდგომარეობას არ აჩვენებენ.

მოგიწოდებთ, ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობით ეროვნული უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომა მოიწვიოთ, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე ბარამიძემ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მიზანმიმართულ ნგრევაზე საუბრობს გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე.

ქართულ ჯარში არსებულ ვითარებაზე მან ერთი წლის წინაც გააკეთა სკანდალური განცხადება.

მისი თქმით, მინდია ჯანელიძის თავდაცვის მინისტრობის დროს საიდუმლო ობიექტებზე დაუშვეს ყოფილი პოლიტპატიმარი ტრისტან წითელაშვილი, რომელმაც ეს ობიექტები ვიდეოზე გადაიღო და რუსეთს გადასცა.

ამ საქმის გამოძიების პირობა დადო იმ დროს თავდაცვის მინისტრის პოსტზე მყოფმა თინა ხიდაშელმა. თუმცა მან ეს ვეღარ მოასწრო, რადგან, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების გამო, პოსტიდან წასვლა მოუწია.

საიდუმლო ობიექტების გადაღების ფაქტი ყველამ მიივიწყა. ეს ამბავი ჯიბუტის სკანდალური განცხადებების შემდეგ გაიხსენა კალანდაძემ.

უკრაინაში გადახვეწილი ქართველი გენერალი ამბობს, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მძიმე ვითარებაა. პირველ რადიოსთან საუბარში კალანდაძე ამბობს, რომ ქართულ ჯარს საქართველოს მთავრობა რუსეთის დაკვეთით ასუსტებს.

– დიდი ხანია ვაცხადებ, რომ „ქართული ოცნება“ ანგრევს შეიარაღებულ ძალებს ივანიშვილის ხელმძღვანელობით. ამის დასტური იყო, როგორ შევიდა წითელაშვილი საიდუმლო ობიექტებზე. მანდ არაფერი აღარ იმალება, ახალგაზრდა ოფიცერიც გამოდის და საუბრობს საგანგაშო მდგომარეობაზე. ეს მხოლოდ ჩვენ მტერს აწყობს. ამ ყველაფერს მე დავარქვი უნიათობით შენიღბული ოკუპაცია, რომელსაც ატარებს „ქართული ოცნება“, – ამბობს კალანდაძე.

დევნილობაში მყოფი გენერალი ამბობს, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი ბოლომდე არ საუბრობენ იმაზე, თუ რა ხდება ქართულ ჯარში. პირველ რადიოსთან საუბარში ის რუსულ ვენდეტაზეც საუბრობს.

– ეს არის პირველ რიგში მეზობელი რუსეთის და მისი ხელმძღვანელობის ინტერესში. ასევე იმ ხალხის, რომლებიც წარმოდგენილი არიან საქართველოში „ქართული ოცნების“ სახით. ყველაფერი დაკავშირებულია რუსულ სპეცსამსახურებთან, ეს არის მხოლოდ რუსული ვენდეტა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მთავრობა. იზორია არის ალასანიას გზის გამგრძელებელი. მათ არავინ არაფერს არ ეკითხება. არის ძალიან სავალალო მდგომარეობა, – ამბობს გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი.

დავით ნემსაძე: „ოსორაულის დაღუპვის შესახებ ცნობა სიცრუეა“

გულიკო ბალაძე



საგარეო საქმეთა სამინისტრო კონგოში ტყვედ ჩავარდნილი მფრინავის, იოსებ ოსორაულის, შესაძლო დაღუპვის თაობაზე ინფორმაციას კვლავ ავრცელებს. ამჯერად მათ ეს ინფორმაცია იოსებ ოსორაულის ოჯახის წევრებს შეხვედრაზე განუცხადეს. სამხედრო ექსპერტი **დავით ნემსაძე**, რომელსაც კონგოში მყოფ ქართველებთან აქვს კავშირი, „ახალ თაობასთან“ ამბობს, რომ იოსებ ოსორაულის ბედს უკვე პოლიტიკა წყვეტს.

– ბატონო დავით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოსორაულის სავარაუდო დაღუპვაზე განცხადებას აკეთებს. გავრცელდა ვიდეოც, სადაც ის თავისი ოჯახის წევრებს ემშვიდობება. თქვენ კი ამბობთ, რომ მფრინავი ცოცხალია. ეს რას ნიშნავს?

– ოსორაულის დაღუპვის შესახებ ცნობა სიცრუეა. თქვენ არ მოგისმენიათ ვიდეოს სრული ვერსიისთვის. ვიდეოს სრული ვერსია არ აჩვენეს, თორემ ოსორაული ამბობს, რომ მასში არ გადაიხდიან 1 მილიონს და ამიტომ ის ბედს შეგუებულია და მზად არის სიკვდილისთვის.

– ვიდეოს სრული ვერსია რატომ არ აჩვენეს?

– ოსორაულმა ძალიან კარგად იცის, რომ არ გადაიხდიან გამოსასყიდს. ის არის ადამიანი, რომელმაც გამოიარა ნაცმოძრაობის რეპრესია. ძალიან კარგად იცის, რომ დღეს ხელისუფლების ქვედა რგოლში (არამარტო ქვედა რგოლში) პორტირებული ნაცმოძრაობაა. ოსორაულმა ასევე ძალიან კარგად იცის, რომ მის მიმართ ინტერესი აქვთ.

– რა ინტერესი აქვთ?

– არ უნდათ, რომ ოსორაული ცოცხალი დაბრუნდეს, რადგან ეს ეხება ქართული ავიაციის ბედს. იოსებ ოსორაული იყო სამხედრო შვეულმფრენების ბაზის მეთაური. ყველაფერთან ერთად, ის არის უზარმაზარი ინფორმაციის მატარებელი და მის მიმართ არის პოლიტიკური დაინტერესება – იოსებ ოსორაული საქართველოში ცოცხალი არ დაბრუნდეს. ამას ვისმენთ საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარშიც.

– კონკრეტულად, ვინ არის დაინტერესებული, რომ ოსორაული საქართველოში ცოცხალი არ დაბრუნდეს?

– ნაციონალური მოძრაობა და ის კატეგორია პოლიტიკოსებისა, ვინც დაინტერესებული იყო ქართული ავიაციის დაშლით.

– ნაცმოძრაობაზეა დამოკიდებული, ქართული ავიაცია დაიშლება თუ არა?

– დააკვირდით, ვინ არის ხელისუფლების ქვედა რგოლებში და ვინ იწვევს საბოტაჟს სახელმწიფოში. ეს არის ნაცმოძრაობის კადრები. გადაავლეთ თვალი კონგოში საქართველოს ელჩის ბიოგრაფიას, რამდენი ხანია, ამ თანამდებობაზეა და გადაავლეთ თვალი ოსორაულის ბიოგრაფიას. ნახავთ, რომ ბატონი დვალი 20 წელიწადია, კონგოშია ელჩად და მის უმწიკვლო ბიოგრაფიას არაფერი შეხებია. იოსებ ოსორაული კი, რომელიც არის პოლკოვნიკი და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, ორჯერ დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან. ვსვამ კითხვას, რატომ? ელჩი დვალი გამოწვეული და დათხოვილი უნდა იქნას საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

– ოსორაული რომ ვერ გამოიხსნეს, დვალის ბრალია?

– არა, ჩემი ბრალია.

– თუკი ოსორაულს მოკლავს კონგოში არსებული შეიარაღებული დაჯგუფება, მილიონს კი არა, ვერც ერთ კაპიკს ვერ მიიღებს. მაშინ მათი ინტერესიც არ არის, რომ ცოცხალი იყოს?

– ეს უკვე პოლიტიკის საკითხია. ამ კაცის ბედი უკვე უბრალო ჯარისკაცის ბედი არ არის. „მ-23-ს“ ნუ ეძახიან ტერორისტულ ორგანიზაციას. ეს არის ოპოზიციურად განწყობილი გასამხედროებული ძალა. კონგოში მიდის სამოქალაქო დაპირისპირება. იქაური ხელისუფლება ატარებს სტაბილიზაციის ოპერაციას. ამიტომ კონგოს ხელისუფლებაზე იარაღის ემბარგოა დაწესებული. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ტერორისტული ორგანიზაციაა. იმ პროცესის ფორმულირება ჩემი მხრიდან იმით იყო გამოწვეული, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, ტყვეთა გაცვლის პოლიტიკა ჩვეულებრივად მუშაობს. რა გააკეთა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ მიმართულებით? არაფერი.

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რა შეეძლო გაეკეთებინა? საქართველოს სახელმწიფოს ჰყავდა ვინმე, რომ მფრინავი პირდაპირ მასში გაეცვალა?

– კონგოს ხელისუფლებას ხომ ჰყავდა? ოსორაული არის საქართველოს მოქალაქე. იყო კონგოში. კონგოს მხარე სერიოზულად უნდა ჩარეულიყო. მას ჰქონდა სრული მასალა. ყველაფერს მე თქვენ ვერ გეტყვით. ჩვენ მოვისმინეთ ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადება, როცა ცოცხალი კაცი მკვდრად გაასაღეს. ამიტომ ბატონი დვალი უნდა გადადგეს. ის უნდა გამოიწვიონ ელჩობიდან.

საერთოდ, სერიოზული რეფორმაა საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩასატარებელი. გარეთ ათასი პროფესიონალია. სად ნახულობენ ასეთ დილეტანტებს, რომლებმაც საუბარიც არ იციან?! საგარეო საქმეთა სამინისტროს ვთავაზობ, შეიკრიბოს მუშა ჯგუფი გზის რუკის ძიების ფორმატში (ეს არის დიპლომატიური ტერმინი) და აბსოლუტურად ღია ფორმატში მოხდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიალოგების წარმოების მონიტორინგი.

– ეს როგორ გამოვა? ამას დაუშვებენ?

– ჩვენ ვართ თადარიგის ოფიცრები. ჩვენ შორის არიან დიპლომატიური კორპუსის ყოფილი წარმომადგენლები. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს საიდუმლოების შენახვის რეჟიმი. ჩვენ გვქონდა საიდუმლოებასთან დაშვების სხვადასხვა ხარისხი. ჩვენ ამას ვერავინ მოგვიხსნის, საიდუმლოების ტვირთს სიცოცხლის ბოლომდე ვატარებთ. ვთხოვთ, გაითვალისწინონ ჩვენი სტატუსები, პატივი სცენ საზოგადოებას და მუშა ჯგუფი დაუშვან საგარეო საქმეთა სამინისტროში. მით უმეტეს, როცა ნაცმოძრაობის კადრი, ბატონი გრიგოლ ვაშაძე, უკვე იყო მისული საგარეო უწყებაში. საგარეო უწყებამ გახსნა კარი და დაიწყო მასთან დიალოგი.

– ვაშაძის მისვლა საგარეო საქმეთა სამინისტროში რისთვის იყო საჭირო?

– ეს არის სიტუაციის პოლიტიზირება. არ ვიცი, ხელისუფლებას ნაცმოძრაობასთან რა ანგარიშები აქვს. ასეთი რამ ძალიან გულსატკენია. პროფესიონალები საგარეო საქმეთა სამინისტროში არ დაგვიშვეს. ამ დროს ვუყურებთ ვიღაც ვაშაძეს, რომელიც მიდის საგარეო უწყებაში და რაღაც ლეგენდებს თხზავს.

– კონგოსთან კავშირი კიდევ გაქვთ?

– დიახ. მინდა ვუთხრა ყველას – მე დამიკავშირდნენ კონგოდან. ეს არის ქართული კონტინგენტი. ასევე ავღანეთიდან დამიკავშირდნენ ჩვენი მფრინავები და პირდაპირ მითხრეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სახელით ცუდად მოექცნენ, მათ არ აქვთ უფლება, მავანთა ქმედება გამოყენებული იყოს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს არ აძლევთ მათ განაწყენების უფლებას. ისინი მზად არიან, ნებისმიერ დროს, როცა საქართველოს სახელმწიფოს გაუჭირდება, მტრის გულში მიიტანონ მომაკვდინებელი ისარი. ისინი გრძნობენ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე.

ამ თემის პოლიტიზირება არ უნდა მოხდეს. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კიდევ იქნება დიდი აქცია. მოვუწოდებ ირაკლი სესიაშვილს, პარლამენტში შექმნას მუშა ჯგუფი და ჩაერთოს ამ პროცესში. აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც გრიგოლ ვაშაძემ და ვიღაც ცერცვაძემ იყვირონ ნაცმოძრაობიდან.

„მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ამხილა“

მამუკა ტუსკაძე: „ამ დეპარტამენტს სტრასბურში ვუჩივლებთ“

გულიკო ბალაძე

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე პოლიციის დეპარტამენტს მისი და რამდენიმე დაზარალებული მეანაბრის უკანონო პატიმრობაში აყვანის გამო სასამართლოში უჩივის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტუსკაძისა და რამდენიმე მეანაბრის მიმართ წაყენებული ბრალი წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის თაობაზე, არ დადასტურდა. „ახალ თაობასთან“ **მამუკა ტუსკაძემ** მისი დაკავებისა და სასამართლოს შესახებ ისაუბრა.

– ბატონო მამუკა, სასამართლო პროცესზე საპატრულო პოლიციამ მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა?

– არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა, რაც ჩვენ გაგვამტყუნებდა. ამიტომ, ცხადია, პოლიციამ მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში უპრეცედენტო მოვლენა მოხდა. მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ, მართლმსაჯულების რეფორმის წარმატების დასტურად, თავისი არსით და შინაარსით, სრულიად უნიკალური გადაწყვეტილება მიიღო. მან გაბედა და აჩვენა, რომ სასამართლოში რეფორმა მართლაც ჩატარდა.

– გაბედა, რატომ?

– ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში ასეთ საქმეებზე მინიმუმ ჯარიმებს მაინც აკისრებენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ადმინისტრაციულ პატიმრობაზე. ჩვენს საქმეზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ორკვირიანი პატიმრობა მოითხოვა. ამ გადაწყვეტილებით, ინგა კვაჭანტირაძემ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ინტერესები უგულებელყო და სუფთად კანონისმიერი გადაწყვეტილება მიიღო – მე და კიდევ ოთხი მეანაბრე სასჯელისგან გაგვათავისუფლა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო – როგორც 166-ე მუხლით (რაც გულისხმობს წვრილმან ხულიგნობას), ასევე 173-ე მუხლით (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) წაყენებულ ბრალში გაგვამართლა. სასამართლომ დანაშაულის არარსებობა დაამტკიცა და სასამართლო დარბაზიდან გაგვათავისუფლა.

– პოლიციის მხრიდან გაბედული ნაბიჯი არ იყო თქვენი დაპატიმრება იმ დროს, როდესაც ტელევიზიებს ინტერვიუს აძლევდით და პირდაპირ ეთერში დაგაპატიმრეს? ამ სიტუაციიდან გამომდინარე, მტკიცებულებებს რომ ვერ წარადგენდნენ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ამას ვერ ხვდებოდნენ, თუ შეგნებულად მოქმედებდნენ?

– ვინც მე დამაკავა, ნაციონალების დროინდელი ჩვეულებრივი ჯალათია. როდესაც მან ჩემი დაკავების ბრძანება გასცა, თვით პატრულის თანამშრომლები გაოგნდნენ. შემდეგ იმაზეც გაოგნებული იყვნენ, იმავე დღეს ხელწერილით რომ არ გაგვათავისუფლეს და ერთი დღე უკანონო პატიმრობაში გაგვატარებინეს.

– წინასწარი დაკავების იზოლატორში.

– დიახ, სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ ის ერთი დღე და ღამე ჩვენ უკანონო პატიმრობაში გავატარეთ. ამის გამო ვაპირებთ, სტრასბურის სასამართლოსაც მივმართოთ.

– კონკრეტულად ვის უჩივით, ვინც დაგაპატიმრათ თუ მთელს დეპარტამენტს?

– ჩვენ ვუჩივით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ვალდებულია, ღირსეული თანამშრომლები ჰყავდეს, რომელიც განასხვავებს დანაშაულის ჩამდენ ადამიანს უდანაშაულოსაგან. თუნდაც სიტუაციის განმუხტვისთვის შეიძლება დროებით დააკავო ადამიანი, მაგრამ შემდეგ წინასწარი დაკავების იზოლატორში არ გადაიყვანო, პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას არ მიმართო.

– თქვენ მიმართ ადგილი ჰქონდა პატივისა და ღირსების შემლახველ ქმედებას?

– მე მქონდა დაშავებული მკლავები პოლიციის ძიძგილაობის შედეგად. პოლიციამ ასეთი რაღაც არ უნდა ჩაიდინოს. ამაზე პასუხისმგებელია საპატრულო დეპარტამენტი. ამიტომ საპატრულო დეპარტამენტმა პასუხი უნდა აგოს. დიდი იმედი მაქვს, თუ აქამდე არ გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან მთაწმინდის საპატრულო პოლიციის უფროსი, ბატონი გრიგოლი, ახლა მაინც გაათავისუფლებენ.

– თქვენ ე.წ. კპზ-ში გადაგაგზავნეს, მთელი ღამე საკანში გაგატარებინეს, როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა თქვენ წინააღმდეგ ასეთი გადაწყვეტილება?

– სასამართლომ იხელმძღვანელა სიტყვისა და გამოხატვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა კი, იმ დღეს, რეალურად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება შეგვიზღუდა.

– აქციის გამართვაზე, მგონი, თქვენ მერიიდან თანხმობა გქონდათ.

– დიახ, აქციის გამართვაზე მერიიდან თანხმობა გვქონდა. თვითონ საპატრულო პოლიციამ აქციის მონაწილეებს გზა გაგვიხსნა და რუსთაველის გამზირზე გადაგვიყვანა. მცირეოდენი შეფერხება იყო, თვითონ საპატრულო პოლიციამ შეზღუდა მოძრაობა, რომ ჩვენ გადავეყვანეთ. ამ დროს პირდაპირ ეთერში ტელევიზიების თვალწინ დაგვაკავეს.

– რაიმე ძველი ანგარიშები ხომ არ ჰქონდათ?

– შეიძლება ასეც იყოს. მთაწმინდის საპატრულო პოლიციის უფროსი, ბატონი გრიგოლი, ძველი აქციებიდან მიცნობს.

– პირადად გიცნობთ?

– როგორ არა, 2007 წლიდან მოყოლებული, რუსთაველის გამზირზე უამრავ აქციაში მიმიღია მონაწილეობა. ჩვენ ერთმანეთს ვცნობთ. როგორც ჩვენ ვიცნობთ საპატრულო პოლიციის ყველა თანამშრომელს სახეზე, ასევე ისინიც გვცნობენ. აქტიური ადამიანი ვარ და, ბუნებრივია, ჩვენ ერთმანეთს ვცნობთ. ბატონი გრიგოლის უცნაური გადაწყვეტილება ინტერვიუს მიცემისას ჩემი დაპატიმრების თაობაზე, ეჭვს ბადებს. ამ საქმით ადამიანის უფლებათა დაცვის უცხოური ორგანიზაციებიც იყვნენ დაინტერესებული და, ალბათ, გავლენა ამანაც იქონია.

– სასამართლომ სრულად გაგამართლათ.

– დიახ, ამიტომ მინდა მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძეს მადლობა გადავუხადო და შევუქო გამბედაობა, რადგან მან, რეალურად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ამხილა.

– საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ხომ არ ასაჩივრებს?

– საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, ალბათ, გაასაჩივრებს.

– რას მოსთხოვთ სტრასბურის სასამართლოს?

– სიმბოლურად იმ ოდენობის თანხას მოვითხოვთ, რაც შეიძლება 1-დღიანი უკანონო პატიმრობისთვის მოითხოვოს ადამიანმა. ასევე პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისთვის მოვითხოვთ კომპენსაციას. პატივისა და ღირსების შელახვაში ვგულისხმობ ჩემს პატიმრობაში დატოვებასაც. საქმის წარმოება ისე არ უნდა წარემართათ, როგორც წარმართეს – „კპზ-თი“ არ უნდა დაეწყოთ. შეეძლოთ იმ დღეს გავეთავისუფლებინეთ და ისე გაეგრძელებინათ ძიება. ამიტომ ეს არის შერჩევითი სამართალი.

მას შემდეგ, რაც ვუთხარი, რომ მე ვიყავი პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, საპატრულო პოლიციის უფროსი გამწარდა და მიიღო გადაწყვეტილება, ჩემთვის ხელბორკილები დაედოთ. ოქმიც გვიან შეადგინეს იმისთვის, რომ სამუშაო საათები დასრულებულიყო, დრო 6 საათს გადაცილებულიყო და აუცილებლად ღამე გამეთია წინასწარი დაკავების იზოლატორში.

– წლების წინ, პირველი უკანონო პატიმრობის დროს, ციხეში დაგტოვეს.

– დიახ, მაშინ ჩემი საქმის მოსამართლე იყო ნინო სანდოძე. ამიტომ პარადოქსია, რომ სასამართლოში ერთმანეთის გვერდიგვერდ მუშაობენ ნინო სანდოძე და ინგა კვაჭანტირაძე. იმ სასამართლოს იმედი როგორ უნდა მქონოდა, სადაც ნინო სანდოძე მუშაობდა? აღმოჩნდა, რომ იმავე სასამართლოში ყოფილა პატიოსანი მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე, რაც აქამდე არ ვიცოდი. ქალბატონმა ინგამ მიიღო ღირსეული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ნინო ბურჯანაძე: „ივანიშვილის ხელისუფლება წარმატებით აგრძელებს სააკაშვილის ნარკოჩადების პოლიტიკას“

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, ნინო ბურჯანაძე „ბირჟა მაფიის“ წევრის მიხეილ მგალობლიშვილის გათავისუფლების ფაქტს ეხმაურება და შს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს. მისი განცხადებით, აღარ აქვს მნიშვნელობა, გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა მგალობლიშვილი თუ ისე, თუმცა ეს ფაქტი არის დღევანდელი ხელისუფლების პირდაპირი აღიარება, რომ პოლიტიკური ნიშნით ებრძვიან ხალხს და ყველანაირი კრიტიკა მათთვის მიუღებელია.

– როდესაც სააკაშვილის ხელისუფლების სისტემურ პრობლემაზე ვსაუბრობდით და ვიბრძოდით, ჩვენი ამოცანა იყო, განსხვავებული მთავრობა მოსულიყო, განსხვავებული ხედვებით და მუშაობის სტილით. არ გვეღირსა მთავრობა, რომელიც ნარკოტიკების ჩადებას და უდანაშაულო ხალხის დაპატიმრებას არ მოეშვებოდა. ნათელია, რატომ დაიჭირეს მუსიკოსები, იმიტომ, რომ ისინი თავიანთ კლიპში არსებულ პოლიციას აშარჟებდნენ.

მუსიკოსების ფაქტის შემდეგ, ძალიან დიდი კითხვის ნიშანი ჩნდება ჟურნალისტი ელისო კილაძის შვილის და სხვა ბევრ ისეთი პატიმრის საქმეებზე, სადაც ნარკოტიკები ფიგურირებს. მახსოვს, რამდენიმე ხნის წინ შს მინისტრმა თქვა, სამინისტრო ბალასტისაგან უნდა გაიწმინდოსო.

ბალასტი თვითონ დაიტოვეს, მერაბიშვილის დროინდელი ის პოლიციელები ჰყავთ დღესაც, რომლებიც ნარკოტიკების ჩადების და უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებით არიან ცნობილები. გამოდის, იგივე გრძელდება, რაც სააკაშვილის და მერაბიშვილის დროს ხდებოდა და მაშინ რა შეცვალა ამ ხელისუფლებამ? – აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

მისი თქმით, მუსიკოსების დაჭერის გადაწყვეტილებას რიგითი პოლიციელი ვერ მიიღებდა.

– მე და ჩემი პარტია კატეგორიულად მოვითხოვთ, დადგეს შს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი. ასეთი მინისტრი, ასეთი პოლიცია და ასეთი მთავრობა არ სჭირდება ჩვენს ხალხს, რადგან ქვეყანაში განსხვავებულ აზრს ებრძვიან და კრიტიკისთვის ნარკოტიკებს გიდებენ. ეს არის ქვეყანა, სადაც უნდა გეშინოდეს იმ ხელისუფლების, რომელიც ხალხმა მოიყვანა. ასეთ ხელისუფლებას ხალხი აუცილებლად გაუშვებს, - განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.

არჩილ თალაკვაძე: „ჩვენ მხარს ვუჭერთ ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციას“

– ჩვენ მხარს ვუჭერთ ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციას, რომელიც დგას პრევენციაზე და დაიცავს მომავალ თაობას ნარკოტიკების ზიანისგან, ასევე, იცავს მომხმარებელთა ინტერესებს და უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას ზიანის შემცირებისა და რეაბილიტაციის სერვისებზე, – ამის შესახებ ჟურნალისტებს უმრავლესობის სხდომის დაწყებამდე ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განუცხადა.

მისი თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს პარლამენტში და ნარკოპოლიტიკის რეფორმირებასთან დაკავშირებით საზოგადოებას უახლოეს მომავალში წარუდგენს პროექტს, რომელიც საკანონმდებლო სფეროში განხორციელდება.

ჟურნალისტებთან საუბრისას თალაკვაძემ ხაზი გაუსვა, რომ „ქართული ოცნება“ ნარკოპოლიტიკის მიმართულებით 2013 წლიდან აქტიურად მუშაობს და რომ ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების კუთხით მმართველმა გუნდმა ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა.

– სხდომაზე მსჯელობა გვექნება სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხზე, მათ შორის, ერთ-ერთი მთავარი საკითხია ნარკოპოლიტიკის რეფორმა. ამ კუთხით მუშაობა უკვე დაწყებულია პარლამენტში და უახლოეს მომავალში ჩვენ საზოგადოებას წარვუდგენთ პროექტს, რომელიც საკანონმდებლო სფეროში განხორციელდება. ჩვენ მხარს ვუჭერთ ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციას, რომელიც დგას პრევენციაზე და დაიცავს მოსახლეობას ნარკოტიკების ზიანისგან, რომელიც ასევე იცავს მომხმარებელთა ინტერესებს და უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას ზიანის შემცირებისა და რეაბილიტაციის სერვისებზე.

პროექტი, რომელშიც არანაირი კომპრომისი არ იქნება ნარკოტიკების ვაჭრობასა და ორგანიზებულ ნარკოდანაშაულზე, მნიშვნელოვანია ნარკოპოლიტიკის ოთხივე სვეტის განვითარება, ვინაიდან წარმატებული ნარკოპოლიტიკა მკურნალობაზე, რეაბილიტაციაზე, პრევენციასა და სამართალდამცავთა ქმედებების ეფექტურ ურთიერთქმედებაშია, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

გია ხუხაშვილი: „კვირიკაშვილის და მღებრიშვილის გადადგომას აზრი არ აქვს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პოსტი უკავია, რეალურად არაფერს წარმოადგენს. ის ფასადური ფიგურაა, რომელიც ცდილობს, მეტნაკლებად კეთილშობილი სახე მისცეს იმას, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროშია ჩაბუდებული.

ფაქტობრივად, დადასტურებულია, რომ ნარკოტიკების ჩადენა მოხდა. ვინც ეს გააკეთა, ის აუცილებლად უნდა დაისაჯოს. შსს-ში ასეთი რაღაცები რომ ხდება, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ადგილი აქვს სისტემურ დანაშაულს. ამაზე, ერთი შეხედვით, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მინისტრმა უნდა აიღოს, მაგრამ ის არ არის ვერტიკალის სათავეში. შესაბამისად, სახელების და გვარების შეცვლას აზრი არ აქვს.

არც გიორგი კვირიკაშვილის შეცვლას აქვს აზრი. ვინმეს აქვს იმის ილუზია, რომ კვირიკაშვილს რაიმე გადაწყვეტილების მიღება შეუძლია? ერთი გადაწყვეტილების მიღების უფლება მისცეს და მანაც კატასტროფული გადაწყვეტილება მიიღო.

– რომელ გადაწყვეტილებაზე საუბრობთ?

– მას უფლება მისცეს, თავისი ინიციატივით შეერჩია ვიცეპრემიერი. მან ალექსანდრე ჯეჯელავა შეარჩია, რომელიც არის ნამდვილი კატასტროფა. სამწუხაროა, რომ ეს ადამიანი განათლების მინისტრია და მომავალ თაობასთან აქვს შეხება.

კვირიკაშვილის და მღებრიშვილის გადადგომას მაშინ ექნებოდა აზრი, ისინი რაიმეს რომ წყვეტდნენ. აქ სისტემაა შესაცვლელი და იმედი მაქვს, საზოგადოება იაქტიურებს. როგორც უკვე ვთქვით, იმ ერთი გამარჯვებით არ უნდა დაკმაყოფილდნენ. საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესჯგუფებმა პოლიტიკაზე გავლენა იქონიონ.

მანუჩარ მაჩაიძე: „დედაქალაქის მერი სამეურნეო საკითხებში უნდა ერკვეოდეს“

„ტრანსპორტის სფეროში კატასტროფული მდგომარეობა სულაც არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

ადგილობრივ არჩევნებზე და თბილისში შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ დედაქალაქის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ **მანუჩარ მაჩაიძეს** ესაუბრა.

– თქვენი აზრით, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს თბილისის მერი, რომ დედაქალაქის მთავარი პრობლემები გადაწყდეს?

– თბილისის მერი უნდა იყოს კარგი მენეჯერი. ის კარგად უნდა ერკვეოდეს სამეურნეო საკითხებში. სხვანაირად, არსებულ პრობლემებს არ მოევლება. დღეს თბილისი დგას ბევრი პრობლემის წინაშე – ესაა ეკოლოგია, წყალმომარაგება, კანალიზაცია, ელექტრომომარაგება, მშენებლობა და სხვა.

– მშენებლობა უსისტემოდ მიმდინარეობს?

– ვერ ვიტყვი, რომ უსისტემოდ მიმდინარეობს. მთავარი სატკივარი ისაა, რომ ბევრი საცხოვრებელი ინგრევა. ბინების ნაწილი მიწისძვრამ დაზიანა, ნაწილი კი ამორტიზებულია. ეს საბჭოთა კავშირიდან მოგვყვება. კრემლი მოითხოვდა ბინების სწრაფად და იაფად აშენებას. მშენებელი ვარ და კარგად ვიცი, რა სავალალო შედეგები მოაქვს ასეთ დირექტივებს. ახლა ხდება სახლების გამაგრება. ამაშიც არ არის ხსნა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თბილისი სეისმურ ზონაშია.

ჩვენი ქალაქიც, ისევე, როგორც მთელი საქართველო, დგას უმუშევრობის წინაშე. ეს მარტო მერის გადასაჭრელი არაა, მაგრამ მერსაც უწევს ამაზე ფიქრი. უმუშევრობა მოქალაქეთა კავშირისა და ნაციონალური მოძრაობის მრავალწლიანი დამანგრეველი პოლიტიკის შედეგია. ადამიანები სამსახურს იმ დროიდან კარგავდნენ, როცა ფაბრიკა-ქარხნების დახურვა, დანგრევა და ჯართად გაყიდვა დაიწყო. ახლანდელი ნაციონალური მოძრაობის ლიდერები და წევრები, უმეტესად, მოქკავშირლები არიან. უმუშევრობაზე კი ყველაზე მეტად ნაციონალური მოძრაობა ყვირის.

– შეუძლია თუ არა მერს 50 ლარით გაუზარდოს პენსია პენსიონერებს? ასეთი დაპირება მერობის კანდიდატს „ევროპული საქართველოდან“ ელენე ხოშტარიას აქვს.

– ეს მეტისმეტად თამამი წინასაარჩევნო დაპირებაა. არსებული მონეტარული მოდელით, რომელიც მოქკავშირმა შექმნა, ქვეყანაში უნდა იყოს ეკონომიკის 4 ან 5%-იანი ზრდა. ამ შემთხვევაშიც ძნელია თანხების მოძიება პენსიის გასაზრდელად.

– მერობის კანდიდატად ნაციონალური მოძრაობა მხარს დაუჭერს ზაალ უდუმაშვილს, თუ ის ამას დათანხმდა.

– არ ვიცი, ერკვევა თუ არა ზაალ უდუმაშვილი ქალაქის მეურნეობაში. ესაა გზის დაგებით დაწყებული, წყალმომარაგებით დამთავრებული საკითხები. თუ ნაციონალური მოძრაობა არ დაასახელებს კანდიდატურას თავისი პარტიიდან, ეს ცუდი არ იქნება. იქნებ, მოეგონ გონს და მიხვდნენ, რა აქვთ ჩადენილი.

– ბოლო თვეებში გახშირდა საუბარი იმაზე, რომ თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი უფრო მეტ ნდობას იმსახურებს, ვიდრე პარტიული.

– ამას არ ვეთანხმები. ამას პრეზიდენტობის კანდიდატზეც ამბობენ. მას კანონითაც უკრძალავენ პარტიულობას. რატომ არ შეიძლება პრეზიდენტი პარტიის წევრი იყოს, ან რატომ უნდა იყოს უნდობლობა პარტიული მერის მიმართ? აშშ-ში პრეზიდენტები არ არიან პარტიულები? ასეა მთელ მსოფლიოში. მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი იმას ნიშნავს, რომ ის მარტოა, გუნდი არ ჰყავს. მარტო საქმეს ვერ გააკეთებ.

– თბილისში კრიტიკის საგანია საზოგადოებრივი ტრანსპორტიც. ითვლება, რომ ამ სფეროში შექმნილი მდგომარეობა კატასტროფულია.

– ტრანსპორტის სფეროში კატასტროფული მდგომარეობა სულაც არ არის – მუშაობს მეტრო, დადიან მიკროავტობუსები და ავტობუსები. ავტოპარკის განახლებაც მიმდინარეობს. არ ვამბობ, რომ სიტუაცია უნაკლოა, მაგრამ კატასტროფულიც არ არის.

– თქვენ თუ უჭერთ მხარს რომელიმე წამოყენებულ ან სავარაუდო კანდიდატს?

– ბევრი კანდიდატი ოფიციალურად ჯერ არ დასახელებულა. „ქართულ ოცნებას“, მაგალითად, არ დაუსახელებია თავისი წარმომადგენელი.

– სავარაუდოდ, ეს კახა კალაძე იქნება.

– თუ ის დაასახელეს, მხარს დავუჭერ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე ყოფილი ფეხბურთელები ვართ, არამედ იმიტომაც, რომ ის გაერკვევა სამეურნეო საკითხებში და მენეჯერობა შეუძლია.

– საკრებულოს ნაწილს პარტიული წესით ვირჩევთ. რა სიტუაციაა პარტიებში?

– ყველაზე მეტად ხმაურობს ნაციონალური მოძრაობა, რომელიც დემაგოგიაზეა გადასული. ნაციონალები უმუშევრობასაც სხვას აბრალებენ და სხვა ყველა უბედურებასაც. მოსმენების კანონზე ყველაზე ხმამაღლა ეგენი გაჰკივიან. ამ დროს ის ავადსახსენებელი ფარული ჩანაწერები, 28 ათასი ფაილი, მაგათ არ გადაიღეს? არაადამიანურადაც ეგენი ეპყრობოდნენ საკუთარ ხალხს. ახლა მზრუნველები გახდნენ! ხელისუფლებაში რომ იყვნენ, მაშინ სხვანაირად ლაპარაკობდნენ!

– „ქართულ ოცნებასაც“ ედავებიან იმას, რომ ოპოზიციაში სხვას ამბობდა, ახლა კი პოზიცია ბევრ საკითხზე შეიცვალა.

– „ქართული ოცნება“ იდეალური არ არის. მმართველმა პარტიამ ყველა დაპირება ვერ შეასრულა, მაგრამ ნაციონალების არაადამიანურ რეჟიმთან მისი შედარებაც კი არ შეიძლება. ნაციონალებს განაჩენს არჩევნებზე ხალხი გამოუტანს.

ქუთაისის მერობის კანდიდატად ნაციონალურმა მოძრაობამ შესაძლოა ხატია დეკანოიძე დაასახელოს

ნაციონალური მოძრაობის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია ქუთაისის მერობის სავარაუდო კანდიდატურებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

– ქუთაისის მერობის პოსტზე ამ ეტაპზე განვიხილავთ რამდენიმე კანდიდატს, მათ შორის მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ხატია დეკანოიძესთან და პარტიის რამდენიმე ადგილობრივ წარმომადგენელთან. გადაწყვეტილებას გუნდი მოკლე პერიოდში მიიღებს, – განაცხადა პარტიის წარმომადგენელმა გიგა შუშანიამ.

მისი თქმით, დასახელებული კანდიდატები დადებითად შეხვდნენ შეთავაზებას, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არაა.

ქუთაისის საკრებულოს დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ბესიკ ბრეგაძე ასევე ადასტურებს, რომ მოლაპარაკებები ხატია დეკანოიძესთან მიმდინარეობს.

ოთარ კახიძე: „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი პრინციპულობით უნდა გამოირჩეოდეს“

– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უნდა იყოს გამორჩეული პრინციპულობით, რაც ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენს სასამართლო სისტემას, რომელიც კლანის მეშვეობით იმართება, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა ოთარ კახიძემ განაცხადა.

მისი თქმით, აღარ უნდა იყოს სასამართლო სისტემაში მათი ადგილი, ვინც წინა ხელისუფლების დროს მართავდა სისტემას.

– მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს წარსული, რომელიც დისკრედიტაციაზე მიუთითებს. პირების ადგილი, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს მართავდნენ სასამართლოს და იყვნენ ლოიალურები აღმასრულებელი ხელისუფლების დროს, აღარ უნდა იყოს სასამართლო სისტემაში. მათ უნდა მისცენ შანსი ქართულ მართლმსაჯულებას, რომ განვითარდეს და წინ წავიდეს, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

თინა ბოკუჩავა: „ივანიშვილს სურს, ბანანის რესპუბლიკაში გვაცხოვროს“

– ივანიშვილს სურს, ბანანის რესპუბლიკაში გვაცხოვროს, სადაც მისი შვილის სოციალური სტატუსი განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ბედს - იქნებიან ისინი ციხეში, თუ იქნებიან გარეთ, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა თინა ბოკუჩავამ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა „ბირჟა მაფიას“ წევრების გათავისუფლების საკითხს.

ბოკუჩავას განცხადებით, რაც არ უნდა ეცადოს ხელისუფლება ამა თუ იმ კანონპროექტით ამ პრობლემის გადაფარვას, აღარ გამოუვა.

– ხელისუფლება ცდილობს, მონახოს გამოსავალი სრულიად გამოუვალი მდგომარეობიდან, რადგან ცალსახაა, რომ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირმა დაუკვეთა ამ ადამიანების დაჭერა ჩადების ხარჯზე. ხოლო შემდგომ, როდესაც ოლიგარქის ვაჟმა გადაწყვიტა, რომ სოლიდარობა გამოეცხადებინა თავის სფეროში მოღვაწე მუსიკოსებისთვის, მთელ სამართალდამცავ და სასამართლო სტრუქტურებს მოუწიათ ბერა ივანიშვილის ნარატივზე გადაწყობა, – განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

„ჩინჩალაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელია“

რეპერების საქმესთან დაკავშირებით, „პირველ რადიოსთან“ კომენტარს აკეთებს იურისტი დავით ჯანდიერი. ჯანდიერი აცხადებს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ მიხელ ჩინჩალაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელია:

– ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ნათელია, რომ უდანაშაულო რეპერები გახდნენ სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილი უკანონობის და ძალმომრეობის მსხვერპლი. სათანადო პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში, სამწუხაროდ, ეს არც პირველი და, სავარაუდოდ, არც უკანასკნელი შემთხვევა იქნება.

მიუხედავად რეპერების სიმართლისა, ჩინჩალაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელია. ამ ბიჭებმა დღესაც ის თქვეს, რაც პირველ ინსტანციაში. ამიტომ ახლა გამოშვება, უდანაშაულო ადამიანებით მანიპულირებაა და ამ დაკვეთას ასრულებს სასამართლო ხელისუფლება. რა თქმა უნდა, არავითარი გამოშვება არ მოხდებოდა, რომ არა ბერას და პრემიერის ნათქვამი. ეს საქმე კიდევ ერთი დასტურია იმის, თუ როგორ არ უნდა ვითარდებოდეს სამართალწარმოება სამართლის უზენაესობით მართულ სახელმწიფოში, – განაცხადა ჯანდიერმა „პირველ რადიოსთან“.

სპეცოპერაცია დიღომში

4 დაკავებული - გამოძალვა და თავისუფლების უკანონო აღკვეთა

თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში სპეცოპერაციის დროს ოთხი პირი დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული პირები მოსამართლის განჩინების საფუძველზე არიან დაკავებული.

როგორც „პირველ რადიოს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულებს ბრალი გამოძალვასა და თავისუფლების აღკვეთაში ედებათ. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 143-ე და 184-ე მუხლებით არის აღძრული.

„საქართველოში ახალი შენობების უმრავლესობა საბჭოური პერიოდის მშენებლობის სტანდარტებსაც კი არ აკმაყოფილებს“

„ენერგოეფექტურობის ცენტრის“ ხელმძღვანელის გიორგი აბულაშვილის განცხადებით, ქვეყანაში ენერგომიმართულების მხრივ, რეგულაციების დეფიციტი არსებობს, რაც ენერგოეფექტურობის წინსვლას ხელს უშლის.

როგორც აბულაშვილმა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „პროფესიონალები“ აღნიშნა, ქვეყანაში აშენებული ახალი შენობების უმრავლესობა საბჭოური პერიოდის გვიანი ეტაპის მშენებლობის სტანდარტებსაც კი არ აკმაყოფილებს.

– ჩვენ მიერ დასახული მიზნებისთვის აქტიურად არ ვიღწვით და რეგულაციების დეფიციტით ამიტომ არის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის რეგულაციების იმ სექტორებში შემოღება, სადაც ბაზარი ძალიან გვიან

ან საერთოდ ვერ ახდენს გავლენას. ამ შემთხვევაში მშენებლობის სექტორს ვგულისხმობ. ჩვენთან აშენებული შენობების უმრავლესობა არა თუ დღევანდელ ევროპულ სტანდარტებს არ შეესაბამება, არამედ საბჭოური პერიოდის გვიან ეტაპზე აშენების სტანდარტებსაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. ამ ტიპის ნორმები ფაქტობრივად, უგულებელყოფილია და მთავარია, რომ აშენდეს. ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით, დღევანდელი შენობების ენერგოეფექტურობა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. მით უმეტეს, როცა საქმე ე.წ. კარკასულ მშენებლობას ეხება, რადგანაც რკინა-ბეტონის კარკასი უდიდეს თბოგამტარს წარმოადგენს, – განაცხადა გიორგი აბულაშვილმა.

მისი თქმით, შენობები, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, გაცილებით მეტ ენერგიას მოიხმარს, ვიდრე ყველაზე დიდძრავიანი ავტომობილი.

– რიგითი ავტომფლობელისთვის ცნობილი ფრაზაა, რამდენს წვავს ავტომობილი. დამერწმუნეთ, თქვენი შენობები, ბინები, სადაც ცხოვრობთ, გაცილებით მეტ ენერგიას „წვავს“ ანუ მოიხმარს, ვიდრე თითოეული ჩვენგანის ყველაზე დიდძრავიანი ავტომობილი.

მარიამ ვალიშვილი: „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი პოზიციები არგუმენტირებულად დავიცვათ“

– „ინტერ-რაოს“ და „ყაზტრანგაზის“ შემთხვევაში ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საარბიტრაჟო სასამართლოებში ქართული მხარის პოზიციები მაქსიმალურად იყოს დაცული შესაბამისი არგუმენტაციებით და მტკიცებულებებით, – განუცხადა „კომერსანტს“ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მარიამ ვალიშვილმა.

როგორც ცნობილია, რუსული ენერგოკომპანია „ინტერ-რაო“ საქართველოს მთავრობასთან ტარიფებზე სტოკჰოლმის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში დავას იწყებს. კომპანიას ელექტროენერგიის ტარიფის მომატება და ლარის გაუფასურებით მიყენებული დანაკლისის კომპენსირება სურს. ჯერ უცნობია, რა თანხას ითხოვს კომპანია, თუმცა სააგენტო „როიტერი“ სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ საუბარია 125 მილიონ დოლარზე.

„ინტერ-რაოს“ სტრუქტურები, Silk Road Holdings B.V. და Gardabani Holdings B.V., დარეგისტრირებულები არიან ნიდერლანდებში და ფლობენ ქართული გამანაწილებელი კომპანია „თელასის“ 75%-ს და „ხრამი ჰესი 1“-ს და „ხრამი ჰესი 2-ს“.

დავის შესახებ ინფორმაციას ადასტურებს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი. როგორც ვალიშვილმა „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტა, ენერგეტიკის სამინისტრო „ინტერ რაოს“ პრეტენზიებს არ ეთანხმება.

– ჩვენ წლების განმავლობაში ამ კომპანიას

სამართლიანად ვექცეოდით, ტარიფებიც და მათი საქმიანობაც იყო ნორმალური და არანაირ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია. თუკი რაიმე ინვესტიციაა განხორციელებული, თუ არის ხარჯები, რომელიც „თელასმა“ გაწია, ეს ადეკვატურად არის ასახული ტარიფში.

ჩვენი პოზიციები არის სამართლიანი და მყარი. შესაბამისი უწყებები დაიწყებენ შესწავლას და უფრო ღრმად გავეცნობით იმ არგუმენტებს, რაც არის წარმოდგენილი რუსული მხარის მიერ. ამის შემდეგ გვეცოდინება, თუ რა შანსებია იმის, რომ გარკვეული პროგნოზები ვაკეთოთ ან დავიწყოთ ჩვენ არგუმენტებზე მუშაობა, რათა სასამართლო პროცესზე ქართული მხარის პოზიცია მაქსიმალურად დაცული იყოს, – განაცხადა ვალიშვილმა.

„ინტერ რაომდე“ საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოში „ყაზტრანსგაზმაც“ უჩივლა. კომპანიამ სარჩელი ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანა და „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დაბრუნება მოითხოვა. როგორც ყაზახური მედია წერდა, კომპანიამ ვერ შეძლო საქართველოში შვილობილის გაყიდვა და ახლა მის დასაბრუნებლად იბრძვის. სადავო თანხა 180 მილიონი დოლარია.

– პროცესი დაწყებულია და ეს საკმაოდ დიდ დროს წაიღებს. შეიძლება, მოვილაპარაკოთ, შეიძლება გავაგრძელოთ პროცესი. ამის პროგნოზირება ჩემთვის შეუძლებელია, – განაცხადა მაშინ „ყაზმუნაი გაზის“ ხელმძღვანელმა საუატ მინბაევმა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ „ყაზტრანსგაზის“ საქმეზე საარბიტრაჟო შეტყობინება მალევე მიიღო და ამჯერად უწყება საქმის შესწავლის ეტაპზე იმყოფება. მარიამ ვალიშვილის განცხადებით, ამ შემთხვევაშიც ქართული მხარე ყველანაირად ეცდება, რომ საკუთარი პოზიციები დაიცვას.

– ყაზახურ მხარესთან ჩვენ არაერთი შეხვედრა გვქონდა. ისინი ჯერ მენეჯმენტში დაბრუნებას ითხოვდნენ, შემდეგ კომპანიის გასხვისებას, თუმცა საბოლოოდ საარბიტრაჟო დავის წამოწყება გადაწყვიტეს. „ინტერ რაოს“ ანალოგიურად, ამ შემთხვევაშიც ჩვენ საარბიტრაჟო დავისთვის ვემზადებით, იუსტიციის და ენერგეტიკის მინისტრები ჩართულები არიან ამ სადავო პროცესში და ყველანაირად ვეცდებით, რომ ჩვენი პოზიციები არგუმენტირებულად დავიცვათ, –განუცხადა „კომერსანტს“ მარიამ ვალიშვილმა.

როგორც ცნობილია, 2006 წელს „ყაზტრანსგაზმა“ თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია „თბილგაზი“ 12 მილიონ 500 ათას დოლარად შეიძინა. 2009 წლის მდგომარეობით კი „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ 80 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა, აქედან 68 მილიონი – საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიმართ. კომპანიის მიერ დაგროვილი ვალების ამოღების მიზნით, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2009 წელს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ სპეციალური მმართველი დანიშნა. ყაზახური მხარე წლებია კომპანიის მენეჯმენტში დაბრუნებას ცდილობს.

2015 წლის ოქტომბერში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ყაზტრანსგაზმა“ ქართულ მხარეს შესაძლოა, ინვესტიციების დაბრუნება მოსთხოვოს.

2016 წლის სექტემბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ყაზტრანსგაზ თბილისს“ შესაძლოა, მფლობელი შესცვლოდა. მაშინ ახალ მფლობელად „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი სახელდებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, მოლაპარაკებები რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. თუმცა მაშინ „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში“ ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაადასტურეს.

„2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურა დღეისთვის სრულად აღდგენილია“

თბილისის მერია 13 ივნისის ტრაგედიიდან 2 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და დეტალურად აღწერს სტიქიის შედეგად გამოწვეულ ზარალსა და სალიკვიდაციო სამუშაოებს.

მერიის ინფორმაციით, 2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერეს ადიდების შედეგად, 200-ზე მეტი ოჯახი და 1.000-ზე მეტი ადამიანი დაზარალდა, გარდაიცვალა 21 და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 2 ადამიანი.

– 13-14 ივნისის სტიქიიდან ორი წელი გავიდა. 2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერეს ადიდების შედეგად, 200-ზე მეტი ოჯახი და 1.000-ზე მეტი ადამიანი დაზარალდა. გარდაიცვალა 21 და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 2 ადამიანი.

განადგურდა და დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, გზები, ხიდები, გვირაბები, საყრდენი კედლები, საკომუნიკაციო სისტემები. ყველაზე დიდი ზიანი თამარაშვილი – გმირთა მოედნის ტერიტორიას მიადგა. მთლიანად დაიტბორა მზიურისა და ზოოპარკის ტერიტორია. სტიქიას ემსხვერპლა ზოოპარკის ბინადართა დიდი ნაწილი. დაზარალდა ქალაქის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ესტაკადა, კოჯორი – სამადლოს დამაკავშირებელი გზა, ახალდაბა – წყნეთის გზის მონაკვეთი. დაზიანდა სატრანსპორტო საშუალებებიც. სტიქიის ზონაში თბილისის მერიამ პირველადი გადაუდებელი ღონისძიებები განახორციელა. დედაქალაქის მთავრობის შესაბამისმა სამსახურებმა 480 დაზარალებული მოქალაქე სასტუმროებში განათავსეს და პირველადი მოხმარების ნივთები გადასცეს. საჭიროებისამებრ, დაზარალებულ მოქალაქეებს გაუწიეს პირველადი სამედიცინო დახმარება, გადაეცათ მედიკამენტები და საკვები. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართვის სურვილი 10.000-ზე მეტმა მოხალისემ გამოთქვა. ახალგაზრდები სალიკვიდაციო სამუშაოებში სპეციალური სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ჩაებნენ, – აცხადებენ მერიაში.

მერიის ინფორმაციით, უპრეცედენტო მხარდაჭერა დაფიქსირდა შემოწირულობების შეგროვების მხრივაც.

– სპეციალურად შექმნილ ანგარიშზე თანხები როგორც ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და ბანკებმა გადმორიცხეს. სულ დახმარებისა და შემოწირულობების სახით, 26 მლნ ლარზე მეტი შეგროვდა. ეს თანხა მოიცავს უცხო ქვეყნებიდან მიღებულ დახმარებებს, ასევე „ქართუ ჯგუფის“ მიერ გადმორიცხულ 10 მილიონ 250 ათას ლარს. კერძო პირებისა და კომპანიების მხარდაჭერის შედეგად, გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა და დაუკანონებელი ფართების მესაკუთრეებმა 35 ბინის მიღება შეძლეს, – აღნიშნულია მერიის განცხადებაში.

მერია მიუთითებს იმასაც, რომ კანონიერი საფუძვლის გარეშე სტიქიის ზონაში სულ 13 ოჯახი ცხოვრობდა.

– დედაქალაქის მერიის შეთავაზებას საცხოვრებელი სახლისა და ფულადი დახმარების მიღების შესახებ 8 ოჯახი დაეთანხმა, ხუთმა ოჯახმა კი უარი განაცხადა. მათ მუნიციპალიტეტისგან კიდევ უფრო მასშტაბური ფულადი დახმარება მოითხოვეს, უარის მიღების შემდეგ კი, სასამართლოს მიმართეს. ამჟამად საქმეს სასამართლო განიხილავს. დედაქალაქის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა დაზარალებული მოსახლეობა ოჯახებისა და სულადობის მიხედვით აღწერეს.

მიყენებული ზიანის მიხედვით განისაზღვრა კატეგორიები – პირველი კატეგორიის ობიექტებში შევიდა ის სახლები, რომლებიც სრულად განადგურდა, ხოლო მეორე კატეგორიად განისაზღვრა ის ობიექტები, რომელთა რეაბილიტაციაც შესაძლებელი იყო. ოფიციალური მონაცემებით, სტიქიის შედეგად სრულად განადგურდა 84, ხოლო დაზიანდა 158 საცხოვრებელი სახლი. პირველი კატეგორია ამ დროისათვის თითქმის სრულად დაკმაყოფილებულია. მეორე კატეგორიაში მოხვედრილ საცხოვრებელ სახლებს კი სარემონტო სამუშაოები უტარდება. შემუშავდა დაზარალებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესიც. ამასთან, დადგინდა დაუკანონებელი ფართის მქონე დაზარალებული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების ოდენობაც, მათთვის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

დაზარალებულებმა ფულადი დახმარებები საოჯახო ნივთების შესაძენადაც მიიღეს. თბილისის მერიამ სტიქიის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთათვის ფულადი დახმარების წესიც შეიმუშავა და 153 პირს ზარალი აუნაზღაურა, – აღნიშნულია მერიის ინფორმაციაში.

ამავე განცხადების თანახმად, 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურა დღეისთვის სრულად აღდგენილია.

– სამუშაოების ფარგლებში მოხდა წყალმომარაგებისა და სანიაღვრე ქსელის აღდგენა, გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების გატანა, გზების აღდგენა, საყრდენი კედლებისა და ფერდობების გამაგრება. გარდა ამისა, განხორციელდა დიდი პროექტებიც, როგორიცაა გმირთა მოედნის და სანაპიროს რეაბილიტაცია, ვერეს ხეობაში ავტომაგისტრალის რეაბილიტაცია და ახალი ხიდის მშენებლობა, საყრდენი კედლის მოწყობა წყნეთის ქუჩაზე, საყრდენი კედლების მშენებლობა წყნეთის გზატკეცილზე. აღდგენითი სამუშაოები თბილისის მერიას 40 მლნ ლარზე მეტი დაუჯდა, – აღნიშნავენ მერიაში.

ამასთან, სტიქიით დაზარალებულთათვის დაწესდა სხვადასხვა სახის შეღავათები.

– დაზარალებული მეწარმეებისათვის განისაზღვრა იაფი სესხის პროგრამა; უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე დაფინანსდა დაზარალებული ახალგაზრდების 1 წლის სწავლის საფასური; დაზარალებულ კომპანიებს გადაუვადდათ მუნიციპალიტეტისთვის გადასახდელი დავალიანებები; დაზარალებული ოჯახებისთვის ჩატარდა ბავშვთა სამედიცინო კვლევა, მოეწყო დასასვენებელი ტურები და საგანმანათლებლო ღონისძიებები, – ნათქვამია განცხადებაში.

დედაქალაქის მთავრობის მიერ, მომზადდა ვერეს ხეობის სივრცით – ტერიტორიული განვითარების კონცეფციაც, რომლის თანახმადაც, ვერეს ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანმანათლებლო ცენტრის, სპორტული კომპლექსის, ტყე-პარკის, ველოტრასებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა იგეგმება. ამჟამად მიმდინარეობს მზიურის პარკის პროექტირება, აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია პარკის მშენებლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მდინარე ვერეზე თბილისის მერიის მიერ შეძენილი წინასწარი შეტყობინების (განგაშის) სისტემა დაამონტაჟა. განლაგდა ატმოსფერული ნალექების მზომი მეტეოროლოგიური და მდინარეში წყლის დონის მზომი ჰიდროლოგიური საგუშაგოები.

„საქართველოში წარმოების სიმცირე, მაღალი უმუშევრობა და უნარ-ჩვევების შეუსაბამობაა“

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილე **ტაო ჟანგი** პირველი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საქართველოში. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ტაო ჟანგთან.

– ბატონო ტაო, მოგესალმებით საქართველოში. ვიცით, რომ ეს თქვენი პირველი ვიზიტია ჩვენს ქვეყანაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეგიონალური ეკონომიკის მიმოხილვის აპრილის ანგარიშის თანახმად, საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 5,2%-დან 3.5 პროცენტამდე შემცირდა. რა არის პროგნოზის ასეთი მნიშვნელოვანი შემცირების მიზეზი?

– დიდი მადლობა. ნამდვილად ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში და ძალიან მოხარული ვარ, რომ მომეცა ეს შესაძლებლობა. როგორც აღნიშნეთ, 2017 წლის პროგნოზი მართლაც შევამცირეთ წინა წლის ნოემბრის პროგნოზთან შედარებით. მიუხედავად ამისა, 2017 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდა რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი იქნება. პროგნოზის შემცირება გამოწვეულია იმით, რომ დეკემბერში მიღებული ბიუჯეტი ნაკლებია, ვიდრე ბიუჯეტის ის ვერსია, რომელიც მანამდე, ნოემბრის პროგნოზისას გვქონდა ნანახი. კარგი ამბავიც გვაქვს. საქართველოს საშუალოვადიანი ზრდა 5.5 პროცენტამდე აიწევს, რასაც ხელს შეუწყობს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის განხორციელება, სსფ-ს პროგრამის ფონზე. ეს გეგმა მიმართულია ინფრასტრუქტურული საჭიროებების მოგვარებასა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, აგრეთვე ეკონომიკის დივერსიფიცირების ხელშეწყობაზე, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპის მიღწევას.

– რეგიონის ეკონომიკურ მიმოხილვაში ყურადღება ასევე გამახვილებულია დოლარიზაციის პრობლემაზე რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში. დოლარიზაციის გამოწვევის საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლებამ გაატარა ღონისძიებები ქვეყანაში ვალუტაზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით. თქვენი აზრით, რამდენად გააძლიერებს დედოლარიზაცია ეროვნულ ვალუტას და უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას?

– აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ დედოლარიზაცია ხანგრძლივი პროცესია. ქვეყნის ეკონომიკის წინაშე არსებული რისკების გათვალისწინებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიესალმება ქვეყნის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ ლარიზაციის სტრატეგიას, რაც გაზრდის ეკონომიკის მედეგობას სავალუტო გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ. ეს ღონისძიებები წარმატებით იქნა გამოცდილი სხვა ქვეყნებში, სადაც ისინი ეკონომიკის სტაბილურობის ხელშემწყობი პოლიტიკის ფონზე განხორციელდა.

– სსფ-ს ფინანსური მიმოხილვის მიხედვით (2015), საქართველოში მსესხებელთა რაოდენობა დიდია: 680 ყველა 1.000 ადამიანიდან. რას გვირჩევს სსფ: როგორ შევამციროთ ეს მაჩვენებელი?

– სესხის აღება შეიძლება სასარგებლო იყოს მსესხებელი ფიზიკური პირისთვის ან ბიზნესისთვის, თუ სესხის დაფარვა კომფორტულად ხდება. მსესხებელთა რაოდენობა, ამ თვალსაზრისით, არ არის მნიშვნელოვანი, არამედ მნიშვნელოვანია, შეძლებენ თუ არა მსესხებლები ვალის დაფარვას. ეს კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პროდუქტიულად იყენებენ მსესხებლები ნასესხებ თანხებს და რამდენად მკაცრია ბანკის მიერ სესხის გაცემის კრიტერიუმი. ის, რომ საქართველოს საბანკო სისტემა ძლიერიამ საგარეო შოკების და გაცვლითი კურსის რყევების მიუხედავად, გვაუწყებს, რომ საქართველოში სესხების გაცემა არ გასცდენია უსაფრთხო დონეს.

სამომავლოდ, ფინანსური სტაბილურობის ზრდის მიზნით, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ეროვნულმა ბანკმა შემოიღოს სესხის და ღირებულების და ვალისა და ვალის მომსახურების ტვირთის პროპორციები და ლიმიტები, სადაც უპირატესობა ექნება ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებს, რაც შეამცირებს მსესხებელთა სავალუტო რისკებს.

– თქვენი აზრით, რა ძირითადი გამოწვევის წინაშე დგას საქართველოს ეკონომიკა და როგორ ვუპასუხოთ ამ გამოწვევებს. რას ურჩევთ საქართველოს მთავრობას და ეროვნულ ბანკს?

– პირველ რიგში, ნება მომეცით შევაქო საქართველო, რაშიც შექებას იმსახურებს. თქვენს ქვეყანას ერთ-ერთი ყველაზე უფრო რეფორმირებული ეკონომიკა აქვს კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. 2014 წლის ბოლოს მომხდარმა ეკონომიკურმა შოკმა საქართველოს ეკონომიკის სუსტი მხარეები დაგვანახა, რამაც ეკონომიკის ზრდა შეამცირა. წარმოების სიმცირე, მაღალი უმუშევრობა და უნარ-ჩვევების შეუსაბამობა დასაქმების ბაზარზე ძირითადი გამოწვევებია. ასეთ გამოწვევებს უნდა ვუპასუხოთ პოლიტიკით, რომელიც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკის დივერსიფიცირებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ფინანსურ სტაბილურობას და მაღალ და მეტად ინკლუზიურ ზრდას. ეს აუცილებელია საგარეო სესხების შესამცირებლად, შოკების მიმართ მდგრადობის გასაზრდელად და კერძო სექტორის განსავითარებლად.

ირმა ჭკადუა: „მე მჯერა მიხეილ თათარიშვილის, რომელიც ამბობს, რომ ნარკოტიკები ჩაუდეს“

ნონა ცაბაძე

ე.წ. „ჩადებების“ თემა ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს. არაერთი გახმაურებული საქმის მომსწრე გახდა საზოგადოება – მუსიკოსების საქმე, პრეზიდენტის ქალიშვილის და სიძის მეგობრები. ყველა მათგანი აცხადებს, რომ მათ ნარკოტიკი ჩაუდეს.

გუშინ საქალაქო სასამართლოში პრეზიდენტის სიძის მეგობრის, მიხეილ თათარიშვილის, სასამართლო პროცესი გაიმართა, რომელსაც 18 აბი სუბოტექსის შეძენა-შენახვა ედება ბრალად. დაკავებულის მამა, ლადო თათარიშვილი აცხადებს, რომ მის შვილს ნარკოტიკი ჩაუდეს და გამომძიებლები, რომლებიც ამ საქმეზე დაიკითხნენ, სრულ სიცრუეს საუბრობენ.

– როდესაც ასეთი ვითარებაა ქვეყანაში, ამ დროს გამოდის შინაგან საქმეთა მინისტრი და ამბობს, რომ „ჩადებები“ არ ხდება, მინისტრს ან სძინავს, ან უწყებას ვერ ხელმძღვანელობს და უმჯობესია წავიდეს, – განუცხადა ჟურნალისტებს მიხეილ თათარაშვილის მამამ.

მიხეილ თათარიშვილის ადვოკატი, ირმა ჭკადუა, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ დღეს ნარკოპოლიტიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია. ჭკადუა მიიჩნევს, რომ საბოტაჟთან გვაქვს საქმე, რადგან ეს სახელმწიფოსთვის სერიოზული დარტყმაა. ადვოკატმა აქცენტი სასამართლოებზეც გააკეთა და აღნიშნა, რომ სასამართლოები ამ კუთხით უკიდურესად მძიმე გადაწყვეტილებებს იღებენ.

– ქალბატონო ირმა, არაერთი საყვედური და ბრალდება ისმის ხელისუფლების მისამართით, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა „ჩადებებმა“. თქვენ მიხეილ თათარაშვილის ინტერესებს იცავთ, რას გვეტყოდით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?

– როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აცხადებს, მას ნარკოტიკული საშუალება არ ჰქონია. რაც შეეხება ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს და საყვედურებს, მე ვფიქრობ და ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, რომ ეს არის მიზანმიმართული ქმედება და ამ ყველაფერში ვხედავ საბოტაჟის ნიშნებს. ეს არის ორკესტრირებული მუშაობა კონკრეტული ჯგუფების მიერ.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ იმას, რომ ჩვეულებრივად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არიან მოსამართლეებიც, თუკი პროცესზე ადვოკატი არის სუბიექტური, შესაბამისად, პროკურორიც არის სუბიექტური, მოსამართლესთან იმიტომ მიდის საქმე და იმიტომ გადის სასამართლო კონტროლს ნებისმიერი საქმე, რომ ნეიტრალური არბიტრი ნეიტრალურად უნდა იხილავდეს საქმეს.

ყველა დაკავებული არ ამბობს, რომ მას ნარკოტიკი ჩაუდეს. როდესაც დაკავებული აცხადებს, რომ მას ნარკოტიკი ჩაუდეს, ასეთ საქმეებს უნდა უდგებოდნენ განსაკუთრებული სიფრთხილით. არაერთი რეკომენდაცია არსებობს ადამიანის ევროპული სასამართლოსი უკვე წლების განმავლობაში, სადაც საუბარია იმაზე, რომ პატიმრობა, როგორც ყველაზე მკაცრი აღმკვეთი ღონისძიება, უნდა იყოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებული.

– დღეს სასამართლო პროკურატურის პოზიციას უფრო იზიარებს?

– მოცემულ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ ეს არის ორკესტრირებული, შეთანხმებული მოქმედება, არ ვიცი, რომელი ჯგუფების მიერ, მაგრამ ეს ჯგუფები არსებობენ. ნაცვლად იმისა, რომ ნებისმიერ საქმეზე განეიტრალდეს და საშუალება მიეცეს მხარეებს, რომ ნეიტრალურ პირობებში, მშვიდ ვითარებაში წარადგინონ და მოიპოვონ მტკიცებულებები, მოსამართლეები მაინც აპატიმრებენ ადამიანებს და ვღებულობთ იმ პროტესტს, რომელიც ამ ბოლო ხანებში იქნა მიღებული. ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი ასეთ საქმეებში არის მაინც სასამართლო.

– რატომ იმატა პოლიციელების მხრიდან ჩადების შემთხვევებმა? მსგავსი განცხადებები სულ უფრო ხშირად გვესმის.

– ძალიან ცუდია, როდესაც ასეთი პრეტენზიები გამოითქმება. თუკი დადასტურდება ბოლო ფაქტებიდან გამომდინარე, თუნდაც ერთი, რომ ადგილი ჰქონდა პოლიციელთა მხრიდან გადაცდომას, უმკაცრესად უნდა იქნენ დასჯილები ეს პოლიციის თანამშრომლები, რათა არავის აზრად არ მოუვიდეს, რომ მომავალში მსგავსი რამე გაბედოს! თუმცა მხოლოდ ეს არ იქნება საკმარისი. სასწრაფოდ საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს უფრო მეტი დამცავი მექანიზმი, რომელიც იარსებებს ჩხრეკის დროს, რომელიც ეხება უშუალოდ ნარკოტიკებს, ვინაიდან ყველამ ვიცით, რომ არის მინიმუმ სამი პოლიციელი ჩხრეკის და დაკავების ჩამტარებელი და არის ერთი ბრალდებული. სასამართლო უფრო მეტად უჯერებს სამ პოლიციელს და არ უჯერებს ბრალდებულს.

– რა უნდა გაკეთდეს ამ კუთხით?

– უნდა დაბრუნდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოწმის ინსტიტუტი! რომ ნეიტრალური მოწმეც დაესწროს ჩხრეკას აუცილებლად და პლუს ვიდეოკამერები, რომლებითაც აღჭურვილია შინაგან საქმეთა სამინისტრო და თუ არ არის, ჯობია, გამოყონ რესურსი იმისთვის, რომ ეს ამდენი ვიშვიში, ამდენი პრეტენზია არ იყოს, და ეს მათ ინტერესში უნდა იყოს პირველ რიგში. ასევე სასწრაფოდ უნდა გადაიხედოს ნარკოპოლიტიკა!

– დღეს აქტიურად გვესმის ხელისუფლების მხრიდან განცხადებები, რომ ნარკოპოლიტიკა ძალიან მკაცრია და უნდა შეიცვალოს. ამ კუთხით რას ელით?

– კი, ბატონო, გავიგეთ ეს განცხადებები, მაგრამ ეს 2003 წლიდან მოყოლებული გვესმის. წინა ხელისუფლების დროს ნარკოტიკი იყო ერთ-ერთი იარაღი, რითაც ისინი ოპონენტებს ებრძოდნენ, იარაღის და ნარკოტიკების ჩადებით და ყველამ კარგად ვიცით, რომ არსებობდა უამრავი უკანონოდ დაკავებული ადამიანი, რომლებიც დღესაც კი არიან სამართლის ძებნაში. ამიტომ ამ ხელისუფლებამ არ უნდა გაიმეოროს ის ნაბიჯები, რომელთაც წინა ხელისუფლება ჩადიოდა. ეს არის ძალიან ცუდი და მანკიერი პრაქტიკა.

– რომელიც დღესაც გრძელდება?

– ეს სერიოზული პრობლემაა, ეს არ არის მარტივად გადასაწყვეტი საკითხი. კადრების სერიოზული პრობლემაა, პრაქტიკულად პოლიციელებმა არ იციან მუშაობა. იციან მხოლოდ მოსმენები.

– თათარიშვილის საქმეზე რას იტყვით, რამდენად ხართ დარწმუნებული მის უდანაშაულობაში? მართლა ჩაუდეს მას 18 აბი სუბოტექსი?

– მე არ მაქვს უფლება, არ დავუჯერო ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს და ის აცხადებს, რომ ჩაუდეს! უფრო მეტსაც გეტყვით, ჩვენ პროცესზე ვკითხავთ მოწმეებს და მე მოწმეებმა მითხრეს და პროცესზე დაადასტურეს ძალიან მნიშვნელოვანი ისეთი დეტალები, რაც თათარიშვილის გამართლებას შეუწყობს ხელს!

მიხეილ მგალობლიშვილი: „ვინც კლიპში გავაკრიტიკე, იმან ჩამიდო ნარკოტიკი“

– ვინც კლიპში გავაკრიტიკე, იმან ჩამიდო ნარკოტიკი, – ამის შესახებ „ბირჟა მაფიის“ წევრმა მიხეილ მგალობლიშვილმა გირაოთი გათავისუფლების შემდეგ განაცხადა.

ამასთან, მიხეილ მგალობლიშვილის თქმით, სირცხვილია, ვინც მიმდინარე პროცესებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს.

– სირცხვილია მათი, ვინც სცადა თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის ამ ამბის გამოყენება, იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი, ყველას მოქალაქეობრივი და მორალური ვალდებულება, რომ ვებრძოლოთ უსამართლობას, – განაცხადა მიხეილ მგალობლიშვილმა.

მან სააპელაციო სასამართლო მხარდამჭერთა შეძახილების ფონზე დატოვა. ამასთან, ემოციური იყო გათავისუფლების შემდეგ მისი ქმედება. მგალობლიშვილმა სხდომათა დარბაზი იმ სიმღერის შესრულებით დატოვა, რომელსაც მის დაკავებას უკავშირებს.

ჯგუფ „ბირჟა მაფიას“ წევრი მიხეილ მგალობლიშვილი თავისუფალია. სააპელაციო სასამართლომ დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა არასაპატიმრო ღონისძიებით შეცვალა.

მოსამართლის აზრით, მიხეილ მგალობლიშვილის მიმალვის საფრთხე არ არსებობს. შესაბამისად, მისი გათავისუფლება 50 ათასი ლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ, დარბაზიდან მოხდა.

დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გირაოთი შეცვლის შუამდგომლობა დაცვის მხარემ დააყენა, რასაც პროკურატურაც დაეთანხმა.

ქობულეთში 84 წლის მამაკაცს ეძებენ

ქობულეთში, სოფელ ჯიხანჯურში 84 წლის მამაკაცი დაიკარგა და მისი სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს. მამაკაცის ახლობლების განცხადებით, მან სახლი 11 ივნისს, დაახლოებით დილის 06:00 საათზე დატოვა და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.

მათივე თქმით, 84 წლის მამაკაცს აქვს მეხსიერების პრობლემა და ამიტომ, მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. თუმცა, გუშინ საცხოვრებელი სახლი შეუმჩნევლად დატოვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები, რომელშიც სამართალდამცველებთან ერთად სამაშველო ბრიგადებიც არიან ჩართულნი.

ირაკლი სესიაშვილი: „სამწუხაროდ, მოდად იქცა იმ გარემოს შექმნა, თითქოს საქმე გვაქვს ჩადებასთან“

– სამწუხაროდ, ერთგვარ მოდად იქცა და სტერეოტიპად ჩამოყალიბდა ხელოვნურად იმ გარემოს შექმნა, რომ საქმე გვაქვს ჩადებასთან და ადამიანებს აკავებენ – ასეთი მიდგომა დამღუპველია, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა „ბირჟა მაფიას“ წევრების საქმეს. მისი თქმით, ხელისუფლება მაქსიმალურად არის დაინტერესებული, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ფორმატში მოხდეს შესაბამისი კანონიერი ღონისძიებების გატარება.

კითხვაზე, მოახდინა თუ არა გავლენა ხელისუფლების „უკან დახევაზე“ ბერას განცხადებამ და საზოგადოებრივმა პროტესტმა, ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ ვისაც როგორ უნდა, ისე შეფუთოს ეს თემა პოლიტიკურად, „არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ რაიმე ზეგავლენა მოახდინა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე“.

– ეს ფაქტი იყო საზოგადოების ფართო მასების შეშფოთების საგანი და ჩვენ, უმრავლესობაც, ყურადღებით ვაკვირდებოდით ამ საქმეს. პრემიერმა განცხადება გააკეთა და ადეკვატურად შეაფასა არსებული მოცემულობა. გამოძიებას უნდა დაველოდოთ, მაგრამ იმ ვითარებაში, როცა არსებობს ეჭვი, რომ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან გარკვეულ დანაშაულს, ამ ფაქტითაც შესაბამისი გამოძიება დაინტერესდება. ამ ვითარებაში, როგორც ჩანს, პროკურატურა დათანხმდა გირაოს სახით ახალგაზრდების გამოშვებას და სასამართლომაც მიიღო ეს გადაწყვეტილება, – განაცხადა სესიაშვილმა.

სადახლოსა და სარფში არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სადახლო-საავტომობილო“ და „სარფი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე დათვალიერებისას, არადეკლარირებული სიგარეტი (ჯამში 12.640 ღერი) აღმოაჩინეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სომხეთის მოქალაქეებს ს.ჰ-ს, ა.გ-ს, რუსეთის მოქალაქე ა.ბ-ს და საქართველოს მოქალაქე ნ.ჭ-ს ჩამოერთვათ საქონელი და შეეფარდათ ფულადი ჯარიმა თითოეულს ათასი ლარის ოდენობით. სომხეთის მოქალაქეს, მ.მ-ს კი ჩამოერთვა საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და შეეფარდა ფულადი ჯარიმა 1.000 ლარის ოდენობით.

შსს-მ ორი ნარკორეალიზატორი დააკავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორი ნარკორეალიზატორი დაიკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული გ.ა. და 1998 წელს დაბადებული ნ.ი., ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, ფონიჭალაში დააკავეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა მოქალაქეს ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი მიჰყიდეს. პოლიციამ, გ.ა.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 12,6855 გრამი ჰეროინის შემცველი ფხვნილი, ხოლო ნ.ი.-ს პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას – 19 შეკვრად დაფასოებული 11,0689 გრამი ჰეროინის შემცველი ფხვნილი ამოიღო, – განმარტავენ შსს-ში.

მათივე ინფორმაციით, გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

საფრანგეთი: საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური მაკრონის პარტიამ მოიგო

საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობით გამოირჩეოდა.

– საპრეზიდენტო არჩევნებს ისეთი აჟიოტაჟი მოჰყვა, რომ ხალხი უკვე გადაიღალა. ახლა ზაფხულია, ჩინებული ამინდები დგას. ფრანგების უმრავლესობამ არჩევნებზე წასვლას კურორტზე გამგზავრება, ან ქალაქგარეთ ბუნების წიაღში გასვლა ამჯობინა, – თვლის პოლიტოლოგი სესილ რესიე.

პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა მაკრონის პარტიამ „წინ რესპუბლიკამ“ მოიპოვა. მას 32%-მა დაუჭირა მხარი. მეორეზე 15%-ით რესპუბლიკელები გავიდნენ. მარინ ლე პენის ნაციონალური ფრონტი 13,7%-ით მესამეზეა. აღსანიშნავია სოციალისტური პარტიის უაღრესად დაბალი შედეგი. მან მხოლოდ 10% მოიპოვა და უკანასკნელ ადგილზე გავიდა.

სესილ რესიე აღნიშნავს, რომ ძალთა საბოლოო განლაგება მხოლოდ მეორე ტურის შემდეგ გახდება ცნობილი. ახლა მნიშვნელოვანია ორი რამ: მარინ ლე პენის ნაციონალური ფრონტის წარუმატებლობა და სოციალისტების კრახი. ყველა მოელოდა, რომ ნაციონალური ფრონტი მეორე ადგილზე გავიდოდა და ხმების არანაკლებ 28-30%-ს მოიპოვებდა. ამავე დროს, აბსოლუტური სენსაცია გახლდათ სოციალისტების, ამ უძველესი პარტიის კრახი.

თავად მარინ ლე პენი მიიჩნევს, რომ მის პარტიას ხმები წაართვეს.

– საფრანგეთში ისეთი საარჩევნო სისტემაა, რომ ობიექტური შედეგი გამორიცხულია! გაყალბება არც არის აუცილებელია. ხელისუფლება იმ ძალებს გაიყვანს, რომელიც სურს! – თვლის ფრანგი ნაციონალ-რადიკალების ლიდერი.

არჩევნების მეორე ტური 18 ივნისს გაიმართება. მაშინ გამოიკვეთება, შეძლებს თუ არა მაკრონი აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებას და როგორი იქნება ძალთა ახალი განლაგება საფრანგეთში.

პუერტო-რიკოს აშშ-ის შემადგენლობაში შესვლა სურს

პუერტო-რიკოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ აშშ-ის შემადგენლობაში შესვლას დაუჭირა მხარი.

ახლა სიტყვა აშშ-ის კონგრესმა და პრეზიდენტმა უნდა თქვან. თუკი აშშ-ის სენატის ორივე პალატა პუერტო-რიკოს მისწრაფებას მხარს დაუჭერს, ეს რეგიონი ამერიკის 51-ე შტატი გახდება.

– იმედი გვაქვს, რომ ამერიკა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, ჩვენი ხალხის მისწრაფებას მხარს დაუჭერს, – აცხადებს პუერტო-რიკოს გუბერნატორი.

სირია: ექსტრემისტების ლიდერი დაიღუპა?

ექსპერტების უმრავლესობა სკეპტიკურად მოეკიდა დასავლეთის მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას. ამ ცნობის თანახმად, დაიღუპა ისლამური სახელმწიფოს ლიდერი ალ ბაქარი.

– ჩვენ ამ ინფორმაციას ვერც დავადასტურებთ და ვერც უარვყოფთ, – ნათქვამია პენტაგონის განცხადებაში.

არ დასტურდება ისიც, რომ ალ ბაქარის დაღუპვის თაობაზე ცნობა სირიის ტელევიზიამ გაავრცელა. ბი-ბი-სი, რომელიც სირიის მედიის მონიტორინგს ახორციელებს, აცხადებს:

– უკანასკნელი დღეების განმავლობაში სირიის ტელევიზიით ალ ბაქარის დაღუპვის შესახებ ინფორმაცია არ გადაცემულა!

მანჰეტენის პროკურორი: „ტრამპმა იმიტომ მომხსნა, რომ მის ტელეფონს არ უპასუხე“

მანჰეტენის ყოფილმა პროკურორმა ბჰარარამ განაცხადა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ტრამპმა პირადად დაურეკა. ბჰარარამ პრეზიდენტის ზარს არ უპასუხა და ამის თაობაზე თავის უშუალო უფროსს მოახსენა.

– ბარაქ ობამა პირადად არასოდეს მირეკავდა, ამიტომ ტრამპის ზარიც ჩემთვის უჩვეულო იყო, – ამბობს ბჰარარა.

პრეზიდენტმა მას კიდევ ორჯერ დაურეკა. ბჰარარამ არც ახლა უპასუხა.

– ტრამპმაც თანამდებობიდან მომხსნა, – აცხადებს ყოფილი პროკურორი.

კონსერვატორთა ლიდერები ტერეზა მეის წინააღმდეგ

არჩევნების შემდეგ ინგლისელი კონსერვატორების ლიდერები ტერეზა მეის გადადგომას სთხოვენ. ისინი მიიჩნევენ, რომ მეიმ ვადამდელი არჩევნების ჩატარებით შეცდომა დაუშვა.

– შედეგად უფრო პოლარიზებული და დაქსაქსული პარლამენტი მივიღეთ. პოლიტიკოსი, რომელსაც ასეთი ლაფსუსი მოუვიდა, უნდა გადადგეს, – აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ჯონსონი.

ჯონსონს მხარს უჭერს ფინანსთა ყოფილი მინისტრი ოსბორნი. ის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად უკვე სინჯავს ნიადაგს, თუ რამდენად შესაძლებელია უახლოეს მომავალში მეის გადაყენება.

პრემიერის წინააღმდეგ გამოვიდა ინგლისის ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრი ჰემონდიც.

რუსეთის პატრიარქი „ანტიამერიკულ ფრონტს“ ქმნის

რუსეთის პატრიარქი კირილე ლათინური ამერიკის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა. მან განაცხადა, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც ვაშინგტონელმა სტრატეგებმა შეიმუშავეს, კაცობრიობას გადაშენებას უქადის.

კირილემ ლათინურ ამერიკას რუსეთთან ერთად ერთიანი ანტიამერიკული ფრონტის შექმნისაკენ მოუწოდა.

– მოგიწოდებთ, „რუსკი მირთან“ გაერთიანებისა და ერთიანი ანტიამერიკული, ანტიიმპერიული ფრონტის შექმნისკენ, – განაცხადა რუსეთის პატრიარქმა.

ამით რუსეთის პატრიარქმა ვლადიმერ პუტინის პოზიცია გაახმოვანა.

რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება, ქვეყანა პოლიტიკურ იზოლაციაშია. რუსეთი ორ ლოკალურ ომშია გაჭედილი (სირია, უკრაინა). პუტინისაც სურს, ხალხის ყურადღება სხვა თემაზე გადაიტანოს და ყოველივე „ამერიკული იმპერიალიზმის“ ხრიკებით ახსნას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

პაკისტანელ მამაკაცს ფეისბუქზე გამოქვეყნებული სტატუსის გამო სიკვდილით დასჯიან

პაკისტანში 30 წლის მამაკაცს, თაიმორ რაზას სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა და ამის მიზეზი მის მიერ სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოქვეყნებული სტატუსია, რომელშიც ის ღმერთს გმობს.

რელიგიის შეურაცხყოფა პაკისტანში მძიმე დანაშაულად ითვლება და ამის გამო მკაცრი სასჯელიც არსებობს, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსის გამო, ვინმეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

ამ შემთხვევის შემდეგ პაკისტანში, სავარაუდოდ, უფრო მეტ სიფრთხილეს გამოიჩენენ სოციალური ქსელის მომხმარებლები.

მოამზადა ბექა გოგისაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ორი განსხვავებული ტაიმი — საქართველომ მოლდოვასთან ფრე ითამაშა

მოლდოვა-საქართველო 2:2

კიშინიოვი. ზიმბრუ

1:0 გინსარი (15), 2:0 დედოვი (36), 2:1 მერებაშვილი (66), 2:2 ყაზაიშვილი (70)

მოლდოვა: ნამაშკო, ციგარლაში (რაკუ 77), პოსმაკი, ეპურიანუ, ბორდიანი, კარპი (კოჟოკარი 73), ჩებოტარუ, ანტონიუკი, დედოვი, კოჩიუკი (ბუგაევი 73), გინსარი

საქართველო: მაკარიძე, კაშია, კვირკველია, ტაბიძე, უ.ლობჟანიძე (კვეკვესკირი 34), ნავალოვსკი, დაუშვილი (ყაზაიშვილი 46), კანკავა, არაბიძე, დვალიშვილი (მერებაშვილი 65), კაჭარავა

უკვე მივეჩვიეთ, რომ საქართველოს ნაკრები ვლადიმირ ვაისის ხელმძღვანელობით 2 განსხვავებულ ტაიმს თამაშობს. ასე იყო მოლდოვაშიც, საიდანაც კოშმარული პირველი ტაიმის შემდეგ თამაში გამოვასწორეთ და ქულა წამოვიღეთ. ალბათ ერთადერთი დადებითი, რაც შეგვიძლია დავინახოთ, სწორედ ეს არის – 2-ბურთიანი ჩამორჩენის გაბათილება.

ქულა მწვრთნელმა გადაარჩინა – ვაისმა ორივე შეცვლა გამოიცნო, მაგრამ იქამდეც საქმე მანვე მიიყვანა. არ ვფიქრობთ, რომ მოლდოვის დონის ნაკრებთან გამართლებულია 3 ცენტრალური მცველით თამაში. მით უფრო, რომ ამ დროს განაპირა მცველები არ გვივარგა. უჩა ლობჟანიძე რომ შეტევაში სუსტია, ეს დიდი ხანია დამტკიცებულია, მაგრამ როდესაც აქებენ გიორგი ნავალოვსკის, სტატისტიკა გაცილებით სხვას გვეუბნება.

მოედნის ცენტრში დაუშვილი-კანკავას დუეტი – 5 მცველის ფონზე, 2 საყრდენი, რომლებსაც აშკარად აკლიათ შემოქმედებითი ნიჭი... გამოდის, რომ მოლდოველებთან 7 ისეთი ფეხბურთელით ვითამაშეთ, რომელთა მიზანი თავდაცვაა.

თუ ამას დავუმატებთ, რომ დარჩენილი 3 ფეხბურთელიდან (არაბიძე, დვალიშვილი, კაჭარავა) ასევე შემქმნელი არც ერთი არ არის, გამოდის, რომ მოედანზე უფანტაზიო გუნდი ვიხილეთ და პირველი ტაიმი სრულად იყო ამის დამადასტურებელი.

თამაში მოლდოველთა არჩათვლილი გოლით დაიწყო – ბურთი დავკარგეთ, მასპინძელთა შეტევა რადუ გინსარმა ზუსტი დარტყმით დაასრულა, მაგრამ შვედმა არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა. ამ შემთხვევაში მსაჯი სწორად მოიქცა, მაგრამ 36-ე წუთზე იკადრა, არ ვიცით, რა დავარქვათ.

ანტონიუკმა ქართველთა დაცვა ააწიოკა, მაგრამ ბოლოს ბურთი ხაზს გარეთ გაექცა და იქიდან ჩააწოდა და დედოვმა გოლი გაგვიტანა. ბურთი აშკარად გადასული იყო და ალბათ ჩვენი დაცვაც ამიტომ გაჩერდა, მსაჯმა კი სხვაგვარად მიიჩნია და გოლი ჩათვალა.

მსაჯები აშკარად შეცდნენ, მაგრამ დაცვაც ჩავარდა. ისევე, როგორც პირველ გოლზე, როდესაც კოციუკის კუთხურის შემდეგ გინსარი ქართველ მცველებს დაუსხლტა და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ვაისმა დაუშვილის ნაცვლად მინდორზე ვაკო ყაზაიშვილი შეუშვა, გუნდი კი 4-2-3-1-ზე გადააწყო. 2 ფანტაზიის მქონე ფეხბურთელის მოედანზე გამოჩენამ ჩვენების თამაში ოდნავ გაახალისა.

საქართველოს ნაკრები აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. 53-ე წუთზე შეტევაში ჩართული გურამ კაშიას თავური მოლდოველმა მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა. კვეკვესკირსა და არაბიძეს შორეული დარტყმები გაუცუდდათ.

66-ე წუთზე ანგარიშში ჩამორჩენა შევამცირეთ. მინდორზე სულ რაღაც ერთი წუთის შესულმა გიორგი მერებაშვილმა საჯარიმოს გარედან აიღო ნამაშკოს კარი.

70-ე წუთზე ანგარიში უკვე თანაბარია – მოლდოველებმა საჯარიმოდან ბურთი ვერ ამოიტანეს, ყაზაიშვილის დარტყმა გზად ერთ-ერთ მცველს მოხვდა და კარში გავიდა.

დარჩენილ დროში მოგებაც შეგვეძლო და წაგებაც: მე-80 წუთზე კვეკვესკირმა ცარიელი კარიდან თავგანწირული ნახტომით გამოიტანა ბურთი, არადა, გოლი გარდაუვალი ჩანდა.

ხოლო, შემდეგ 2 მომენტი ჩვენ გვქონდა. ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა კაჭარავამ ვერ შეაგდო, მერე კი არაბიძემ გაარტყა ხარიხას.

ვლადიმირ ვაისი:

– მაყურებელმა ღია ფეხბურთი იხილა. პირველ ტაიმში იყო შეცდომები. ფრე ლოგიკური შედეგია. მოლდოვამ პირველ ტაიმში კარგად ითამაშა. მეორე ნახევარში შეცვლაზე შევიდნენ ფეხბურთელები, რომლებმაც გამოაცოცხლეს თამაში. ეს ასეც უნდა იყოს. იყო შეცდომები, რომლებიც უნდა გამოვასწოროთ. სამწუხაროდ, ჩვენს რამდენიმე ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა არ ყოფნის.

– რატომ არ დააყენეთ ძირითადში გიორგი მერებაშვილი?

– როცა შეცვლაზე შესული ფეხბურთელი იტანს გოლს, ჩნდება ასეთი შეგრძნება. დასაწყისში უფრო გამოცდილ ფეხბურთელებზე გავაკეთე აქცენტი.

– რას იტყვით მოლდოველთა იმ გოლზე, რომლის დროსაც მეტოქის ფეხბურთელს ბურთი აშკარად გაექცა მოედნის გარეთ?

– ბურთი 20 სანტიმეტრით გადავიდა, მაგრამ ეს შეცდომა შეიძლება ყველას მოუვიდეს. უმაღლესი დონის მატჩებშიც უშვებენ მსაჯები ასეთ შეცდომებს. ცდებიან ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც.

– საქართველოს ნაკრები კვლავ მოუგებელია შესარჩევ ციკლში. ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი შესაძლებლობები იწურება საქართველოს ნაკრებში?

– რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში მწვრთნელია პასუხისმგებელი. მოგეხსენებათ, არაერთი ფეხბურთელი გვაკლდა. ფსიქოლოგიურად საქართველოს ნაკრებში ყველაფერი რიგზეა.

– პირველი ტაიმი შორს იყო იდეალურისგან, მეორე კი უკეთესი გამოვიდა. ეს იმით ხომ არ იყო გამოწვეული, რომ საქართველოს ნაკრები უფრო შემტევი შემადგენლობით გამოვიდა სათამაშოდ?

– ჩვენ ვიცოდით, რომ მოლდოვის ნაკრები იღლება. გვინდოდა, პირველ ტაიმში გოლი არ გაგვეშვა. იძულებითი ცვლილების გაკეთება მოგვიწია. უკეთესი იქნებოდა, 0:0-ზე გაგვეკეთებინა ცვლილებები, მაგრამ სხვა რეალობის წინაშე დავდექით. 2 ბურთით ჩამოვრჩით.

ჩვენივე ჯგუფში კიდევ 2 მატჩი გაიმართა და ორივე ფრედ დასრულდა.

ირლანდია შინ დაუხვდა ავსტრიას და ჰინტერეგერის გოლით აგებდა, თუმცა მატჩის მიწურულს უოლტერსმა გაათანაბრა.

სახლში აგებდა სერბეთიც: უელსელები რემზის პენალტით დაწინაურდნენ, მაგრამ მიტროვიჩმა ბრიტანულ გუნდს ქულა არ გაატანა.

სატუნინო ცხრილი:

1.სერბეთი	6	3	3	0	13:7	12
2.ირლანდია	6	3	3	0	8:4	12
3.უელსი	6	1	5	0	9:5	8
4.ავსტრია	6	2	2	2	9:8	8
5.საქართველო	6	0	3	3	6:10	3
6.მოლდოვა	6	0	2	4	4:15	2

როლან გაროსი ნადალმა და ოსტაპენკომ მოიგეს

საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე ფინალური შეხვედრა გაიმართა. ერთმანეთს შვეიცარიელი სტენ ვავრინკა და ესპანელი რაფაელ ნადალი დაუპირისპირდნენ.

რაფაელ ნადალმა, რომელსაც როლან გაროსი ცხრაჯერ ჰქონდა მოგებული, ვავრინკას მარტივად, 3 სეტში, ანგარიშით 6:2; 6:3; 6:1 სძლია და „გრუნტის მეფემ“ ჩემპიონობა მეათედ იზეიმა.

საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე გამარჯვებით ნადალმა კარიერაში

მე-15 გრან სლემის ტიტული მოიპოვა. მის წინ მხოლოდ როჯერ ფედერერია, რომელსაც იგივე 18-ჯერ აქვს გაკეთებული.

ესპანელ ჩოგბურთელს მსოფლიო რეიტინგში 1.110 ქულა დაემატა და განახლებული რეიტინგით მსოფლიოს მე-2 ნომერი გახდა.

გამარჯვებულმა, რომელმაც „როლან გაროსი“ პირველად 2005 წელს 19 წლის ასაკში მოიგო, განაცხადა:

– ძალიან ემოციურად ვარ! კორტზე განცდილი გრძნობების სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. ეს ჩემ კარიერაში ყველაზე ემოციური და მნიშვნელოვანი მომენტია.

როლან გაროსზე ქალთა შორის ჩემპიონი ლატვიელი ელენა ოსტაპენკო გახდა. ფინალში ლატვიელმა 20 წლის ჩოგბურთელმა სიმონა ჰალეპი 4:6, 6:4, 6:3 დაამარცხა.

აღსანიშნავია, რომ ოსტაპენკო გახდა პირველი განუთესავი ჩოგბურთელი, რომელმაც გრუნტის კორტზე გაიმარჯვა. დიდი სლემის ფინალში ლატვიელი პირველად გავიდა, ხოლო ჰალეპმა უკვე მეორედ წააგო საფრანგეთის მთავარ საჩოგბურთო ტურნირზე.

როლან გაროსის დაწყების წინ ელენა მსოფლიოს რეიტინგში 47-ე ადგილზე იყო, ახლა კი 12 პოზიციაზეა.

ხელბურთელთა ნაკრები ბულგარეთში მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისთვის იბრძოლებს

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებს ბულგარეთში, ველიკო ტირნოვოსა და გაბროვოში საერთაშორისო ტურნირი ელის – ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის განვითარებადი ქვეყნების ჩემპიონატი. ტურნირში მონაწილეობს 15 ევროპული ქვეყნისა და ჩინეთის ნაკრები.

მსგავსი შეჯიბრება მეორედ ტარდება. პირველი გათამაშება 2015 წელს კოსოვოში, ფარერის კუნძულებმა მოიგო.

ბულგარეთის ტურნირის ასაკობრივი კატეგორია ასეთია: მონაწილეობენ 24 წლის და უმცროსი ხელბურთელები, ოღონდ მწვრთნელებს ამ ასაკზე უფროსი 3 მოთამაშის დამატება შეუძლიათ. ტურნირზე, მთავარი ჯილდოს გარდა თამაშდება ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის მთავარი საკვალიფიკაციო რაუნდის 3 საგზური, რომელსაც 3 საუკეთესო ევროპული გუნდი მოიპოვებს.

ბულგარეთში ჩასული 15 ევროპული ნაკრებიდან ექვსმა (ლუქსემბურგი, საქართველო, თურქეთი, კოსოვო, ფარერები, კვიპროსი) უკვე ითამაშა ევრო 2020-ის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი და მეორე ეტაპზე ვერ გავიდა (გაიმარჯვეს იტალიამ, ესტონეთმა და საბერძნეთმა). ახლა ამ 6 გუნდსა და კიდევ 9 ქვეყანას, რომელთაც კვალიფიკაციის პირველ ეტაპზე არ უთამაშიათ, მეორე შანსი ეძლევათ. ჩინეთის ნაკრები ტურნირზე პერსონალურადაა მიწვეული და ევროპული საგზურების გათამაშებაში არ მონაწილეობს.

საქართველოს ნაკრები ბულგარეთში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:

მეკარეები: სანდრო ხანდოლიშვილი (სტუ-ქარიშხალა), გიორგი ხარაიშვილი (იმედი);

მოედნის მოთამაშეები: ხაზეინ რუსტამოვი, გიორგი მერკვილაძე (ორივე ქუთაისი), ზეზვა იობაშვილი, გიგა ბაინაზიშვილი, დავით ყორიაული, გიორგი მიქავა (ყველა იმედი), თეიმურაზ ორჯონიკიძე (პრილეპი, მაკედონია), ზურაბ გოგავა, გიორგი ცხოვრებაძე, გიორგი დიხამინჯია (ყველა პეგასი), ერეკლე არსენაშვილი, ლუკა ბულბულაშვილი (სტუ-ქარიშხალა).

შედეგები

11 ივნისი

ფეხბურთი

მრ 2018. შესარჩევი ეტაპი

ევროპა

ირლანდია-ავსტრია 1:1
მოლდოვა-საქართველო 2:2
ფინეთი-უკრაინა 1:2
ისრაელი-ალბანეთი 0:3
ისლანდია-ხორვატია 1:0
იტალია-ლიხტენშტეინი 5:0
კოსოვო-თურქეთი 1:4
მაკედონია-ესპანეთი 1:2
სერბეთი-უელსი 1:1

ოკეანეთი

ახ.კალედონია-ფიჯი 2:1

აფრიკის ეთა თასი. შესარჩევი ეტაპი

სენეგალი-ეკ.გვინეა 3:0
ზიმბაბვე-ლიბერია 3:0
ც.აფრიკა-რუანდა 2:1
ბენინი-გამბია 1:0
განა-ეთიოპია 5:0
კაპო ვერდე-უგანდა 0:1

ესპანეთი. სუპერ დივიზიონი

ნუმანსია-მირანდესი 0:2

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

რა არის გლაუკომა

ეკა ირემაშვილი

გლაუკომა ლათინური სიტყვაა და „სუფთას“ ნიშნავს. იგი წარმოადგენს თვალის სერიოზულ დაავადებას, რომელიც ჩვეულებრივ ნელა, რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველგვარი სიმპტომების გამოვლინების გარეშე ვითარდება. ამ დაავადებამ შესაძლოა სიბრმავე გამოიწვიოს.

მიუხედავად იმისა, რომ გლაუკომა ჩვეულებრივ ორივე თვალზე ვითარდება, შეიძლება მან ერთნაირად არ დააზიანოს ორივე მათგანი. თუმცა მსოფლიოში გლაუკომა შეუქცევადი სიბრმავის მთავარი მიზეზია. იგი მოქმედებს მხედველობის ნერვზე, რომელიც თვალს აკავშირებს ტვინთან. დაზიანება ყველაზე ხშირად ხდება მაშინ, როცა თვალშიდა წნევა – გლაუკომის გამოწვევის ძირითადი რისკ-ფაქტორი – ძალიან მაღალია.

რა არის გლაუკომა, როგორია სიმპტომები და როდის უნდა მივმართოთ ექიმს, ამ თემებზე ექიმი-ოფთალმოლოგი ნინო კობახიძე საუბრობს.

ნინო კობახიძე:

– ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია თვალის პათოლოგიის – გლაუკომას შესახებ. ეს არის დაავადება, რომელიც შეუქცევადი სიბრმავის ერთ-ერთი ხშირი მიზეზია და მიმდინარეობს სიმპტომების გარეშე. გლაუკომა არის საკმაოდ მძიმე დაავადება და საკმაოდ გავრცელებულია ჩვენს ქვეყანაში.

– რა სიმპტომები ახასიათებს ამ დაავადებას?

– მას ახასიათებს თვალშიდა წნევის მატება, რაც იწვევს მხედველობის ნერვის ატროფიას და, შესაბამისად, მხედველობის მკვეთრ დაქვეითებას.

ეს დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს, რის გამოც პაციენტი ხშირად ძალიან დაგვიანებით მოგვმართავს. დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გარეშე კი გლაუკომას სრულ სიბრმავემდე მივყავართ.

– რა არის საჭირო გლაუკომის დიაგნოსტიკისთვის?

– გლაუკომის დიაგნოსტიკისა და მეთვალყურეობისთვის საჭიროა თვალშიდა წნევის კონტროლი დაახლოებით 3-4 თვეში ერთხელ იმისთვის, რომ განისაზღვროს, თუ რამდენად ექვემდებარება თვალშიდა წნევა მედიკამენტოზურ მკურნალობას.

– რისთვის არის საჭირო მხედველობის ველის პერიოდული შემოწმება?

– მხედველობის ველის პერიოდული შემოწმება აუცილებელია იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რამდენად სტაბილურია დაავადება, რამდენად ინარჩუნებს მხედველობის ნერვი ფუნქციას. ხოლო ოპტიკური კოჰერენტული ტომოგრაფიის საშუალებით შესაძლებელია მხედველობის ნერვის სტრუქტურის შეფასება და ასევე მის მდგომარეობაზე დინამიკაში დაკვირვება.

– როგორია მკურნალობის მეთოდები?

– რაც შეეხება მკურნალობას, ჩვენს კლინიკაში ვატარებთ როგორც მედიკამენტოზურ, ასევე ლაზერულ და ქირურგიულ ჩარევებს. ჩვენთან შესაძლებელია სპეციალური დრენაჟების იმპლანტირებაც. მიდგომას ვირჩევთ პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, იმისდა მიხედვით, თუ დაავადების რა სტადიასთან გვაქვს საქმე და ასევე, როგორია თვალშიდა წნევის მაჩვენებლები.

კალეიდოსკოპი

ამერიკაში იპოვეს 15 მილიონად შეფასებული ჯექსონ პოლოკის ნახატი „დაკარგული“



აშშ-ში იპოვეს ჯექსონ პოლოკის ნახატი „დაკარგული“, რომლის ფასი 10-დან 15 მილიონ დოლარამდე მერყეობს.

ნახატი არიზონას შტატში ავტოფარეხში აღმოაჩინეს. ნამუშევრის შესწავლას არტ-ექსპერტმა ჯოშ ლევინმა 18 თვე მოანდომა.

ეს და კიდევ მთელი რიგი ხელოვნების ნიმუშები მის ამჟამინდელ მფლობელს მემკვიდრეობით ერგო მისი დის ჯენიფერ გორდონის, კოლექციონერ პეგგი გუგენჰაიმის მეგობრისგან.

ნახატს ხელმოწერა არ აქვს და Pollock-Krasner Foundation-i უარს აცხადებს ნამუშევრის ნამდვილობა დაადასტუროს.

ამის მიუხედავად, სურათი აუქციონზე გასაყიდადაა გატანილი, რომელიც 20 ივნისს გაიმართება.

ჰიტლერის სურათები აუქციონზე გაიყიდება

ფაშისტური გერმანიის ლიდერის ადოლფ ჰიტლერის სურათები აუქციონზე გასაყიდადაა გამოტანილი. 14 ნამუშევარი დაახლოებით 100 წლის წინაა შესრულებული. მრავალ მათგანზე ფიურერის ხელმოწერაა. ლოტების სავარაუდო ფასი 1000-დან 50 ათას დოლარამდე მერყეობს.

როგორც ცნობილია, თავის დროზე ჰიტლერი ვენის ხელოვნების აკადემიაში მოხვედრას ცდილობდა, მაგრამ ორჯერ გამოცდებზე ჩაიჭრა.

მსოფლიოში „ყველაზე მდიდარი“ ოჯახის ვილა აღადგინეს

სააგენტო ბლუმბერგმა ინფორმაცია გაავრცელა მსოფლიოში „ყველაზე მდიდარი“ ოჯახის ვილას თაობაზე, რომელიც სორენტოში (იტალია) მდებარეობს.

ვილა 1905 წელს უოლდორფ ასტორმა იყიდა. იმ მომენტისთვის ის პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო. მას უძრავი ქონების სხვა ობიექტებიც ეკუთვნოდა, მათ შორის ბინები და ციხესიმაგრე დიდ ბრიტანეთში.

მართალია, სახლი სორენტოში ისეთი გრანდიოზული არ ყოფილა, როგორიც ასტორის სხვა სასახლეები იყო, მაგრამ ის მის საყვარელ პროექტად იქცა. სამი წლის მანძილზე მიმდინარეობდა შენობის შესაკეთებელი სამუშაოები, შემდეგ მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთების შესყიდვა დაიწყო, შექმნა ბოტანიკური ბაღი. გარდა ამისა, ასტორმა პომპეის ვილის ასლი ააგო და ის ძვირფასი ანტიკვარიატით გაავსო.

ასტორი 1919 წელს გარდაიცვალა. იტალიის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ მის მამულში მდებარე ბაღები და ანტიკვარიატი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ისინი ხელუხლებლად უნდა დარჩეს. სახლი იტალიის ხელისუფლებას გადაეცა, მეორე მსოფლიო ომის დროს ის მოკავშირეებმა დაიკავეს და რეკვიზაცია მოახდინეს, ხოლო 1970-იან წლებში ის მაგნატმა მარიო პანემ მეუღლე რიტასთან ერთად შეიძინა. მათ ობიექტი 2012 წელს გაყიდეს.

ახალმა მფლობელმა ინტერიერის დიზაინერი ჟაკ გარსია დაიქირავა. რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ განახლებულ დეკორს წიგნი მიეძღვნა, რომლის წინასიტყვაობა ასტორის შვილთაშვილს ეკუთვნის.

მეუღლეზე გაბრაზებულმა ჩინელმა მძღოლს საჭე წაართვა და ავტობუსი გადააბრუნა

ჩინეთში ავტობუსის მგზავრმა მძღოლს საჭე წაართვა, რაც ავტოსაგზაო შემთხვევით დასრულდა, სატრანსპორტო საშუალება გადაბრუნდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად. მამაკაცს ასეთი ქმედებისკენ მეუღლესთან წაჩხუბებამ უბიძგა. აღნიშნული ინციდენტი, რომელიც ჩინეთის პროვინცია გუანდუნში მოხდა, ვიდეოზე იქნა გადაღებული და ის იუთუბიზე ჩინეთის ახალი ამბების გვერდზე გამოქვეყნდა.

ავარიის შედეგად რვა ადამიანი დაშავდა. მამაკაცი რომელიც ავტოავარიის მიზეზი გახდა, დაკავებულია. როგორც ადგილობრივი ტრანსპორტის დეპარტამენტი იუწყება, გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს შეეფერება. იქ ასევე დააზუსტეს, რომ ინციდენტი ავტოსტრადაზე მოხდა, რომელიც ქალაქებს დუნგუანსა და გუანჩჟოუს ერთმანეთთან აკავშირებს.

დევიდ ბექჰემმა საკუთარ მოდურ „ჩავარდნებზე“ იცინა

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა ჯეიმს კორდენის პროგრამაში სტუმრობისას საკუთარ მოდურ ჩავარდნებზე იცინა.

ყოფილი ფეხბურთელი გადაცემის „მსახიობ ემილი ბლანტთან ერთად“ სტუმარი იყო. შოუს მონაწილეები შეეხნენ თემას ბექჰემისა და მისი მეუღლის ვიქტორიას მაღალი წრის საზოგადოებაში გამოჩენას.

კორდენის თქმით, წყვილი თამამ გადაწყვეტილებებს იღებდა და არ აშინებდათ წითელ ხალიჩაზე შესაბამის ტანსაცმელში გამოჩენა, მაგალითად, 1999 წელს ვერსაჩეს ჩასაცმელები.

– ეს ჩემი იდეა არ ყოფილა, – განაცხადა ბექჰემმა.

შემდეგ გადაცემის მონაწილეებმა გაიხსენეს ცნობილი სარონგი, რომელზეც 1998 წელს მრავალი გამოცემა წერდა.

– სარონგი, მე მომწონდა სარონგი, – განაცხადა ბლანტმა.

კორდენმა ფეხბურთელს ჰკითხა, თუ არსებობდა ისეთი მოდური ჩასაცმელები, რომელთა გამო ნანობდა და დევიდმა ხუმრობით უპასუხა, რომ მათი უმეტესობის გამო ნანობდა, თუმცა იქვე დაამატა, რომ მათი უმრავლესობა თავისი დროის შესაბამისი იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპრომნოზი

13 ივნისისთვის

ვერძი – პროფესიულ სფეროში ძველი მეთოდების გამოყენებას გირჩევთ. ექსპერიმენტებისაგან დროებით თავი შეიკავეთ. ** კურო** – ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით. შესაძლოა, კომპრომისზე წასვლაც მოგიხდეთ, რაც საქმეს არგებს. **ტყუპები** – წარმატებული დღეა. საქმე მოთმინებითა და შემოქმედებითად აკეთეთ. ახლობელ ადამიანთან კამათს ერიდეთ. **კირჩხიბი** – დაისვენეთ სულიერად, იკითხეთ წიგნები, წადით თეატრში. საკუთარი პოზიციის გამოხატვისას არ აჩქარდეთ. **ლომი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მზად იყავით მოულოდნელი სასიამოვნო ცვლილებებისათვის. **ქალწული** – საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით იმოქმედეთ. სხვების რჩევებს ყურს ნუ დაუგდებთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. **სასწორი** – კომერციულ სფეროში იაქტიურეთ. ნებისმიერი საქმიანი ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. **ღრიანკალი** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. დაშვებული შეცდომებისგან სათანადო დასკვნები გააკეთეთ. **მშვილდოსანი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. გიმართლებთ სასიყვარულო ურთიერთობებში. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. დღეს განმარტოება და დასვენება გჭირდებათ. **მერწყული** – მეგობრების იმედი იქონიეთ. ნებისმიერ შემთხვევაში მათი დახმარება დაგჭირდებათ. დღეს დადებული საქმიანი გარიგებები საკმაოდ მტკიცე იქნება. **თევზები** – თავს კარგად გრძნობთ. თუ სამოგზაუროდ წასვლას გადაწყვეტთ, საგულდაგულოდ მოემზადეთ. აჩქარება არ ივარგებს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მწირი, უნაყოფო ნიადაგი; 2. დაბა სიღნაღის რაიონში; 3. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება სკანდინავიის ქვეყნებში; 4. იაპონური თოჯინების თეატრი; 5. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 12. გადასახადებისგან განთავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 14. დაღესტნელთა სახელწოდება საქართველოში ძველად; 15. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი უნგრელი მხატვარი; 17. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში.

თარაზულად: 6. კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი შუა საუკუნეების აჭარაში; 7. წყნარი ოკეანეს-პირა კურორტი მექსიკაში; 8. პორტუგალიური ღვინო; 10. ქართული ბანკი; 11. „შაჰნამეს“ ქართული ვერსია; 13. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 16. ტკბილი კარტოფილი; 19. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 20. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პერანგი; 3. მეტალი; 8. ბარაქა; 9. ციგა; 14. ამაგი; 15. აზდაკი; 17. ნევა; 20. ბანზაი; 22. ნავთი; 23. მაკარი; 25. ენა; 26. ალტი; 27. ლემა; 28. პარტიზანი.

შვეულად: 1. პიცა; 2. ინა; 3. მასშტაბი; 4. ლი; 5. მარაკანა; 6. ლავა; 7. კარმენი; 10. გემი; 11. რედინგოტი; 12. სინეკურა; 13. აზრი; 16. სამანი; 18. ევტერპე; 19. ამინდი; 21. ავიზო; 24. რუპია.

სკანვორდის პასუხები:

1. კოლუმბი; 2. ლომი; 3. მერიმე; 4. რომბი; 5. დონი; 6. ამია; 7. უნია; 8. პერი; 9. აკადემიკოსი; 10. მინდია; 11. პერუ; 12. იადონი; 13. ტოკატა; 14. დატივი; 15. კამელია; 16. შარლ; 17. კაა; 18. ინა; 19. ბუი; 20. ძუა; 21. აპრიორი; 22. არაუკარია; 23. პალიტრა; 24. ტიტული; 25. ზორბა; 26. ვიზავი; 27. ინკასო; 28. როკოკო; 29. ილი; 30. ილიადა; 31. კორტი; 32. კავატინა; 33. ბილ.

სურათებზე: შერილ კოული; არტურო ვიდალი.

გიგი ადამაშვილი ჩოხატაურში კონცერტს გამართავს

ქართული და უკრაინული „იქს ფაქტორის“ მონაწილე, მომღერალი გიგი ადამაშვილი საქართველოს რეგიონებში მართავს კონცერტებს. ერთ-ერთი მორიგი საღამო ჩოხატაურში ჩატარდება.

კონცერტი სიმბოლურად 13 ივნისს გაიმართება და მისი ორგანიზატორი თბილისში წყალდიდობის დროს დაღუპული ივლიტა ჯიბუტის სახელობის ბიბლიოთეკაა.

ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში ივლიტას ბიბლიოთეკის გახსნის 2 წლის იუბილე სწორედ გიგი ადამაშვილის კონცერტით აღინიშნება, რომელსაც აკომპანიმენტს ცნობილი პიანისტი ლევან ჩხაიძე გაუწევს. კონცერტზე შესრულდება როგორც ახალი, ასევე ძველი კომპოზიციებიც.

კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი კი 5 ლარია.

ბახალას გადასარჩენად ხელმოწერები გროვდება

მსახიობ გიორგი გიორგანაშვილის, იგივე ბახალას გადასარჩენად ინტერნეტში ხელმოწერები გროვდება.

ბახალა, რომელიც ფართო საზოგადოებამ მუსიკალური გადაცემიდან „იმღერე რამე“ გაიცნო, ყველაზე პოპულარული სერიალ „ტიფლისში“ მონაწილეობის შემდეგ გახდა.

გიორგი უკვე 4 თვეა დაკავებულია. მსახიობის მდგომარეობის შესახებ მისი მეგობარი თინათინ ასათიანი ავრცელებს ინფორმაციას:

– პირადად მე მრცხვენია, რომ ამდენ ხანს ვდუმდით, მაგრამ საქმე დიდხანს ისე მიმდინარეობდა, რომ ბევრ ადამიანს ჰგონებოდა, თითქოს ბახალა დიდ ნარკოდანაშაულში იყო გახვეული.

მას შემდეგ, რაც ექსპერტიზამ უარყო ბახალას კავშირი საზღვარზე ნარკოტიკული ნივთიერების გადმოტანასთან დაკავშირებით, მეგობრებს და ოჯახის წევრებს შვების შეგრძნება დაგვეუფლა, არადა სწორედ მაშინ უნდა ავხმაურებულიყავით, სწორედ პროკურატურის ვერსია იყო ბახალას კავშირი კონტრაბანდასთან!

გესმით, როგორი მადლობელები უნდა ვიყოთ, ეს რომ არ დაუმტკიცდა? ბახალა არ აღიარებს დანაშაულს და სასამართლოზე მან გასვლისას თქვა, რომ მე დავამტკიცებ ჩემს უდანაშაულობასო. მას დღეს ჩვენი გვერდზე დგომა სჭირდება და ამას იმიტომ არ ვამბობ ასე ხმამაღლა, რომ მისი მეგობარი ვარ, უბრალოდ, ყველა დეტალი, რაც საქმეშია, ამაზე მეტყველებს. ზუსტად ვიცი, რომ ის ჯიბით ნარკოტიკს არ ატარებდა! ალბათ ნებისმიერი მისი მეგობარი დაადასტურებს ამას!

გთხოვთ მოაწეროთ ხელი და იქნებ არ არის გვიან და არ დაიღუპოს სამუდამოდ ბახალა! რახან ხმა ამოვიღეთ, ახლა ვეღარაფერი შეგვაჩერებს!

ქოლოსის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას პირვანდელი სახე დაუბრუნდა

ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში შუა საუკუნეების ქოლოსის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია დგას. იგი ადგილობრივი მოსახლეობისათვის უმთავრესი საღლოცავია, თუმცა ამის მიუხედავად, ტაძარი სხვადასხვა მიზეზთა გამო უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა და სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებდა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდთან ერთად ჩატარებული სამუშაოების შედეგად ეკლესიას პირვანდელი სახე დაუბრუნა: გადაეწყო ამორტიზებული და გამოქარული კედლის ზედაპირზე არსებული წყობები, აღდგა კედლის საპირე წყობები ფასადებზე კირქვის კვადრებით, საპირე წყობებს შორის სიცარიელე შეივსო ბუტით კირის ხსნარზე, მოეწყო ანტისეისმური სარტყელი ტაძრის ქუსლის დონეზე და ფრონტონებზე, აღდგა კამარა კონქი კირქვის გათლილი კვადრებით, აღდგა საბჯენი თაღის ქვები, ინტერიერში აღდგა პილასტრები გათლილი კირქვით, აღდგა სახურავი რუხი ფერის თუნუქით ლორფინის იმიტაციით, ხოლო იატაკი კირქვის ფილებით მოპირკეთდა.

პანტომიმის თეატრით საერთაშორისო მიმების ორგანიზაცია დაინტერესდა

საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრი მიუხედავად შენობაში არსებული მძიმე მდგომარეობისა, სიახლეებს აქტიურად სთავაზობს თავის ერთგულ მაყურებელს და სხვადასხვა ღონისძიებებშიც იღებს მონაწილეობას.

პანტომიმის თეატრი საერთაშორისო მიმების ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში მოექცა. ქართველი მიმების მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებულმა არაერთმა ღონისძიებამ ქართველებთან ერთად უცხოელებიც მოხიბლა. ერთ-ერთი ბოლო ღონისძიება, რომელიც ქართველმა მიმებმა წარმოადგინეს, რუსთაველის გამზირზე ღიაცის ქვეშ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გაცოცხლება იყო.

პანტომიმის თეატრმა და რუსუდან ფეტვიაშვილთან ერთად ერთობლივი პროექტი განახორციელა. რუსუდან ფეტვიაშვილის მხატვრობა მსახიობების კოსტიუმებზე გაცოცხლდა. იდეა და რეჟისურა ამირან შალიკაშვილი ჯუნიორს ეკუთვნის, გრიმზე ანუკა მურვანიძემ იმუშავა, ქორეოგრაფი სალომე ფილიშვილია, კოსტიუმების დიზაინერი კი ლაშა დევდარიანი. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ კი მაესტრო ამირან შალიკაშვილი კითხულობს.

გომარეთში უნიკალური ძეგლები ნადგურდება

„გომარეთული შედევრები“ – ასე უწოდებს ისტორიკოსი გიორგი კალანდია სოფელ გომარეთის ეკლესიების სასაფლაოებზე არსებულ ბარელიეფებსა და გორელიეფებს.

გიორგი კალანდია:

– იმან, რაც სოფელ გომარეთის ეკლესიების სასაფლაოებზე ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს ქართული ქვითმქანდაკებლობის შედევრებია, ათობით უნიკალური ძეგლი უძველეს სასაფლაოებზე მიმოფანტულა, ბევრი უკვე დაღუპულა, ბევრიც დაღუბვის პირასაა, უამრავი გადაცვივდა ხევში... მოგეხსენებათ, სასაფლაო მუდმივად მოქმედებაშია, იკრძალებიან ახლად შესვენებულები, იკარგება ძველების ხსოვნა და ქვა ერთად. ბევრ ქვას უბრალოდ დრო და კლიმატური პირობები სპობს, არადა რა დასანანი იქნებოდა მათი ქართული ხელოვნებისათვის სამუდამოდ გაქრობა. თითქმის ყველა გადარჩენილი ბარელიეფი თუ გორელიეფი ისეთი ხელოვნების ნიმუშია, რომ თამამად შეგიძლია მუზეუმში გამოფინო და იამაყო შენი წინაპრების, უბრალო სოფლის უბრალო გლეხების ნიჭიერებით და ესთეტიკით.

დიახ, მსოფლიოს უდიდესი და წამყვანი მუზეუმები სწორედ ეგრეა „მათი დარბაზების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ სარკოფაგებს და მათზე გამოქანდაკებულ შესანიშნავ ფიგურებს ეძღვნება ათენში, რომში, სტამბულში...

ექსპედიციის დროს ველაპარაკეთ სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლებს, ამავე ეკლესიის შესანიშნავ მამაოს, ყველა მზადაა იმოქმედოს ამ ძეგლების გადასარჩენად, ყველა დაგვეხმარება, ყველა თანხმდება, რომ უძველესი სასაფლაოს უძველესი ქვები ნადგურდება.

ასე რომ, ჩვენ მზად ვართ, ვიმოქმედოთ, დარწმუნებული ვართ, ჩვენი ძეგლთა დაცვის სააგენტო თავისი შესანიშნავი სპეციალისტებით ამ პროცესში ჩაერთვება, საპატრიარქოც მხარში დაგვიდგება, ფინანსები, მზად ვართ, ჩვენ მოვიძიოთ და სოფლის მოსახლეობის და სტუდენტობის ჩართულობით ამ ძეგლებს უნდა ვუშველოთ, თუ რომელიმე მათგანის ადგილზე შენარჩუნება შეიძლება, შევინარჩუნოთ, თუმცა ძალიან ძნელია და სარისკო, დანარჩენი ხრამში გადაცვენილებიდან საუკეთესოები უნდა ამოვიტანოთ. ასევე უნდა გავწმინდოთ მიწისაგან და ხავსისაგან ისინიც, რომელთა გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება, მათ ნამდვილად ეკუთვნის სამუზეუმო სივრცე, რომელსაც ჩვენ არ დავიშურებთ, და გადარჩენა მომავალი თაობებისათვის.

მედეა კუჭუხიძის 80 წლის იუბილე მოზარდ მაყურებელთა თეატრში აღინიშნება

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში, საქართველოს სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, რეჟისორ მედეა კუჭუხიძის 80 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საღამო 12 ივნისს გაიმართება. მედეა კუჭუხიძეს 80-მდე წარმოდგენა აქვს დადგმული საქართველოს არაერთ თეატრში. საიუბილეო საღამოზე რეჟისორს ხელოვნების ქურუმის წოდებით დააჯილდოვებენ.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მედეა კუჭუხიძის მიერ დადგმულ რეზონანსულ სპექტაკლებს შორის აღსანიშნავია: ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, რომელიც თეატრ „კაბუკის“ მიწვევით იაპონიაში წარადგინეს. ლალი როსებას „პროვინციული ამბავი“, რომელიც დაჯილდოვდა მარჯანიშვილის პრემიით, საკავშირო თეატრალურმა საზოგადოებამ რეჟისორი საგანგებოდ მიიწვია მოსკოვში, ლალი როსებას „პრემიერა“, რომელიც წლის საუკეთესო სპექტაკლი გახდა, ნიკო ლორთქიფანიძის „უამთა სიავე“ – სპექტაკლის სცენოგრაფია – მხატვარი გ.გუნია, საუკეთესო სცენოგრაფიის მსოფლიო ათეულში შეიყვანეს...

მედეა კუჭუხიძემ განახორციელა დადგმები რუსთაველის, გრიბოედოვის, სოხუმის აკადემიური თეატრების სცენებზე. განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა სპექტაკლებმა „მინის სამხეცე“ რუსთაველის თეატრში 1971 წელს, „ანა ფრანკის დღიური“ გრიბოედოვის თეატრში 1964 წელს.

მედეა კუჭუხიძე არის ავტორი რამდენიმე პიესის და ინსცენირების, ეწევა პუბლიცისტურ საქმიანობას. მის აღზრდილ რეჟისორებსა და მსახიობებს შორის არიან ავთანდილ მახარაძე, გურამ ფირცხალავა, ბერტა ხაფავა, ნუკრი ქანთარია, ხათუნა იოსელიანი, რუსუდან მაყაშვილი, ნინო მუმლაძე და სხვანი.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დიმიტრი ხვთისიაშვილის მიწვევით მედეა კუჭუხიძემ მოზარდში ჰოფმანის „პატარძლის ამორჩევა“ დადგა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე თამუნა სულაძე, შვილები ანა და გიორგი წერეთლები, მამა ვახტანგ წერეთელი, დედა დალი კობერიძე, დები რუსუდან და ანა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 13, 14 ივნისს, დოლიძის ქუჩა XIII კორპუსი.

გამოსვენება: 15 ივნისს, 15 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

მეუღლე თამუნა სულაძე, შვილები ანა და გიორგი წერეთლები, სიმამრი იური სულაძე, სიდედრი ინგა კალანდარიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიძა ავთანდილ წერეთელი, ბიცოლა ნანა ხუნდაძე, ბიძაშვილი ვახტანგ წერეთელი, რძალი ქეთევან ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიძა ზურაბ წერეთელი, ბიცოლა ელზა ჩხიკვიშვილი, ბიძაშვილები ნინო და ეკა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიცოლა ინა წერეთელი, ბიძაშვილები მაია და ივა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიძაშვილი ვახტანგ წერეთელი, რძალი ქეთევან ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

სამშაბათი
13 ივნისი

07.00 დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** მადაგასკარის პინგვინები **09.00** დილის მოამბე **10.00, 03.00** პირადი ექიმი. **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტელემანი **12.50 რაგბი. 20**-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი პირდაპირი ტრანსლაცია **14.40, 17.10, 19.40** დოკ/ფ **15.20 რაგბი. 20**-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი პირდაპირი ტრანსლაცია **17.50 რაგბი. 20**-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი პირდაპირი ტრანსლაცია **20.20 რაგბი. 20**-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი პირდაპირი ტრანსლაცია **22.10** სპორტი **360 23.10** მხ/ფ "**ბაზეთი**" **01.00** მხ/ფ "**ოდი**"

08.00დოკ/ფ "ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში" **09.00**დოკ/ფ "შავი მატერიის საიდუმლო" **10.00**"გეოფაქტორი" **10.15**"აფხაზეთი" **11.00**დოკ/ფ "ჟან პოლ გოტიე" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00**ტ/სერ. "**ჩენბერ ვეტრინე**" **14.00**დოკ/ფ "კიდევ სცადე" **14.55**დოკ/ფ "დიზაინი" **15.20რაგბი - 20** წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი" ნახევარფინალები **17.10**დოკ/ფ "რომი/ **17.50რაგბი - 20** წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი" ნახევარფინალები **19.35**დოკ/ფ "საოჯახო სასტუმრო" **20.00**"მოამბე" **20.20**"ქართული დოკუმენტალისტიკა" **21.00**"არგუმენტების დრო" **23.00**"მოამბე" (3 ენაზე) **00.00**"ნამდვილი დრო" **00.30**ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პაპარაკალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება** 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** მხ/ფ "**ჯენიფერ რეა**" **01.45** მხ/ფ "**ცენტურიონი**" **03.40** მხ/ფ "**ლარიბი მდიდარი გოგონა**"

06.00, 18.30 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიკას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი

08.00 ან/სერ. ვარსკვლავური ომები **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** სერ. "**ანგელოზია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შაპი სია**" **21.00** სერ. "**მაფიოზა**" **22.30** მხ/ფ "**ქერათმიანი ადვოკატი**" **00.20** მხ/ფ "**ქერათმიანი ადვოკატი 2**" **02.05** მხ/ფ "**სხვანის ვარსკვლავი**" **03.45** მხ/ფ "**შოპაჰოლიკი**"

06.10 სპექტაკლი "**მბრძოლის მოტანილი ბარათები**"III **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.45** პატერიკი-ღვთიური სიმდაბლით მოსილი მამა ეპიფანი **10.40** სათავეებთან "ჭაბუა ამირეჯიბი-შეხვედრები მაჩაბლის ქუჩაზე" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ "**კაცები**" **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.05** ქართული ან/ფ **15.15** დ/ფ „ველური ბუნება"-ინდოეთი **15.45** დ/ფ "კვალი ნათელი" **16.40** სიმღერის კვალდაკვალ "ანჩისხატი" **17.15** ქრისტიანული ხელოვნება "ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** დ/ფ "ძველი ქართული საგალობელი" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ივერიის ეკლესია "მეფე ბაგრატ III და საქართველოს ეკლესია" **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები-33" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.30, 20.30, 22.50** სერ. "**ბარბარა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **0.00** "კონტაქტი" **0.30** დოკ/ფ "მედიუმი ლონგ აილენდიდან" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4075
- ევრო — 2.6918
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0712
- 100 რუსული რუბლი — 4.2290

ამინდის პროგნოზი 13 ივნისისთვის

1 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

გამქრალი ოცნებანი

წიგნი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

6 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

გამქრალი ოცნებანი

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

9 ივნისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ანეკდოტი

•••

კაცი თანასოფლელს ეკითხება:

– შენ ჩემს ცოლთან იწექი?

– დაიცადე, ვნახო (ბლოკნოტს ფურცლავს). ჰო, ვიწექი.

– ეს მე არ მომეწონა.

– ერთ წუთს (ისევ ბლოკნოტს ფურცლავს). არც მე...

•••

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– აბა მითხარი, რომელია შენი ყველაზე საყვარელი ანდაზა?

– გაძლევენ – გამოართვი, გცემენ – ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტში დარეკე...

•••

პირველ პაემანზე ბიჭი გოგონას ეკითხება:

– ჩემამდე ბიჭები გყავდა?

– არა, ორი გოგონა მყავდა, მაგრამ ისინი ბებიასთან იზრდებიან.

•••

ფიტნესცენტრში მსუქანი ბანკირი ვარჯიშობს, წონის დაკლებას ცდილობს. ამ დროს სავარჯიშო დარბაზში ულამაზესი ქერათმიანი ქალიშვილი შემოფრთხიალდება.

ბანკირმა საგულდაგულოდ შეათვალიერა და მერე თავის მწვრთნელს ჰკითხა:

– მისი ყურადღების მისაპყრობად ამ მანქანებიდან რომლით სარგებლობას მირჩევთ?

– ჰოლში რომ ბანკომატია...

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ არის შენი საქმე?

– ანონიმი ალკოჰოლიკების კლუბში გავერთიანდი.

– მერე?

– მესამე დღეა ვსვამ და არც კი ვიცი, ვისთან ერთად...

•••

შვილიშვილი სოფელში პაპას ესტუმრა და მალე მოიწყინა. პაპა ეუბნება:

– შვილო, აიღე თოფი, წაიყვანე ძაღლები და წაინადირე, სროლით გაერთობი.

შვილიშვილმა დაუჯერა. ერთ საათში უკან მობრუნდა და ეკითხება:

– პაპა, მაგარი რჩევა მომეცი და ძაღლები კიდევ გყავს?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

15 ივნისიდან

ფილიპ ჩესტერფილდი

წერილები ჩემს ვაჟს

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ლევან მჭედლიძეს ბოლონია ეპატიჟება

საქართველოს ნაკრების და იტალიური ემპოლის ფორვარდს ლევან მჭედლიძეს ბოლონია ეპატიჟება. შეგახსენებთ, რომ ემპოლი სერია ბ-ში გავარდა და იქ თამაში მჭედლიძეს არ სურს, ამიტომ რეალურია, რომ მან ბოლონიას შეთავაზება მიიღოს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხის გადახდას აპირებს ბოლონია და დეტალები, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

მჭედლიძემ გასულ სეზონში 15 შეხვედრა ჩაატარა და 6 გოლის გატანა შეძლო, თუმცა ტრავმების გამო მას საკმაოდ დიდი პერიოდი გაუცდა.

ემპოლიში მჭედლიძე 2010 წელს გადავიდა, მანამდე კი ის ორი წლის მანძილზე პალერმოს ღირსებას იცავდა, რომელიც ამჟამად ასევე სერია ბ-ში თამაშობს.

დონარუმა მილანის დატოვებას არ აპირებს

მილანის ახალგაზრდა მეკარემ ჯანლუიჯი დონარუმამ განაცხადა, რომ მილანის დატოვებას არ აპირებს და უახლოეს მომავალში თავის გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს. დონარუმა ამჟამად მხოლოდ 18 წლის არის და მას უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მისი შეძენა უკვე ბევრ კლუბს სურს, მათ შორის ევროპული ფეხბურთის გრანდებსაც, მაგრამ დონარუმა მშობლიური მილანის დატოვებას არ აპირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დონარუმას შეძენის მსურველებს, მინიმუმ, 50 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ, რადგან ამაზე ნაკლებად მილანი თავის ახალგაზრდა მეკარეს არ დათმობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მარკო როისი 5 თვეზე მეტს გამოტოვებს



დორტმუნდის ბორუსიის ფორვარდი მარკო როისი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იუქმებს. როისმა ტრავმა სეზონის ბოლოს მიიღო და ოპერაციაც გაიკეთა, რომლის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ მას საკმაოდ დიდხანს მოუწევს სარეაბილიტაციო კურსის გავლა, ამიტომ როისი, სავარაუდოდ, ოქტომბერში ან ნოემბერში დაუბრუნდება მოედანს.

აღსანიშნავია, რომ როისი საკმაოდ ხშირად იღებს ტრავმებს და სწორედ ტრავმების გამო მან გამოტოვა ბევრი მნიშვნელოვანი ტურნირი, მათ შორის 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც, როდესაც გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

როისი ამჟამად 28 წლის არის, ამიტომ მისთვის მოედანზე დაბრუნება უფრო რთული იქნება, ვიდრე ეს რამდენიმე წლის წინ იყო.

მადრიდის რეალმა ნადალს მეათე როლან გაროსი მიულოცა

მადრიდის რეალმა ესპანელ ჩოგბურთელს რაფაელ ნადალს ტვიტერის საშუალებით როლან გაროსის მეათედ მოგება მიულოცა.

11 ივნისს როლან გაროსის ფინალში ნადალმა სტანისლას ვავრინკა ადვილად დაამარცხა და საფრანგეთის ღია პირველობა კარიერაში მეათედ მოიგო. ნადალი მადრიდის რეალის გულშემატკივარია, ამიტომ რეალი მას ყველა დიდ გამარჯვებას განსაკუთრებით ულოცავს. ანალოგიურად იქცევა ნადალიც, როდესაც რეალი წარმატებას აღწევს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბაქტერიების მშთანთქმელი, დამშლელი ვირუსი; 2. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 3. სპირტიანი სასმელი; 5. თაღლითი ბანქოს თამაშში; 6. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ქართველი მილიარდერი, ქველმოქმედი, მეცენატი; 10. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. ხელოვნების, მეცნიერების აღორძინება; 14. ცხიმში შებრაწული კარტოფილი; 16. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟი; 18. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

თარაზულად: 1. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 4. უზბეკეთის დედაქალაქი; 7. ძველი გერმანული იმპერია; 8. რაიონული ცენტრი კახეთში; 12. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 13. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 15. აეროპორტი მილანში; 17. წელიწადის მეთორმეტედი; 19. ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმი; 20. ოსური ცეკვა; 21. დიღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა